# 26 მაისი

ქართველთა უპირველესი დღესასწაული

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-კვირა, 25-26 მაისი. 2019 წ. №104 (8770) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი




**მამუკა ბახტაძე:** ორმა მეზობელმა დემარკაციის ნაბიჯი უნდა დაასრულოს ცივილურად, ისე როგორც ეკადრება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას და მეგობრობას

2

## მერაბ კოსტავას შეუფასებელი ფენომენი...



რაც დრო გადის, მით უფრო ფასეული (იქნებ — შეუფასებელიც) ხდება მერაბ კოსტავას ფენომენი, ასე რომ აკლია მისთვის სახატედ ქცეულ სამშობლოს.

არადა, როგორ არ ცდილობდნენ დიდი მამულიშვილის სულიერ გატეხვასა და ქრისტესმიერ ძმასთან — ზვიად გამსახურდიასთან მის დაპირისპირებას. არაფერი გამოუვიდათ.

არც გამოუვიდოდათ, რამეთუ თხემით ტერფამდე ქართველი საკუთარი პოლიტიკური მრწამსის ისეთი ერთგული გახლდათ, ჯოჯოხეთური პატიმრობის პერიოდშიც კი ყველას აოცებდა სახელოვან წინაპართა სადარი შეუპოვრობით და იმპერიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ჯერაც საბჭოთა რესპუბლიკაში შეუბღალავი ავტორიტეტით დაბრუნდა.

თაობებს გადაეცემა გაუტეხავი ერისკაცის ემოციური სიტყვა, რომლითაც დარბევის წინ მიმართა 1989 წლის 9 აპრილის ისტორიულ ღამეს რუსთაველზე შეკრებილ ერთ მუშტად შეკრულ თანამემამულეებს. ვაგლახ, რომ ასეთ ერთიანობას უკვე სამი ათეული წელია, ველარ ვეღირსეთ. ისე, საკითხავია — გვყავს კი მისი დარი თანამედროვე, პირადი მაგალითით რომ გაუძლვება თვისტომთ?

სიმბოლურია, რომ ხვალ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან ერთად შთამომავლობა მთაწმინდის ბინადარ მერაბ კოსტავას 80 წლის იუბილესაც აღნიშნავს...

**გია პლატონიშვილი**

## ინკვიზიცია ნაცურად...



**თათია მოლაშვილი:**

# ხმამაღლა ვაცხადებ, სულხანი სიკვდილის პირამდე სააკაშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ მიიყვანეს!

4

ამის დავიწყება შეუძლებელია!

## ძმას ქრისტესმიერს

ერზე მჭმუნვარი ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ, იცოდე!
ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები
და სერაფიმთა ჰაეროვნება,
არ გწამს მონღოლის ნატრაბახები
და არც მარდოხეს ყალბი ცხოვრება.
გვეტანებოდნენ ძაღლნი და ღორნი,
შემუსვრა სურდათ ელვარე ჭაღის,
მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის.
კვლავაც დავუდგეთ დარაჯად საფლავს,
ყველა ცოცხალთა მიზანს და მიზეზს,
ამგვარ წამებას ხომ შვებაც ახლავს,
ხვალეც იმედის თვალებით გვიმზერს.
ცხოველმყოფელი საფლავი იგი
გვიწამებია ცხოვრების წყაროდ,
დაგვცქერის თვალი არსთაგამრიგის,
ის აგვარიდებს ბედის შავ ტაროსს.
და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი,
ცა გარდაგვეხსნა მარადჟამული,
ხელთუქმნელ ხატის დიდებით მშვენი
ღვთის წილხვდომილი ჩვენი მამული.
დე ელვარებდეს ივერთა ცაზე
მზე შუაღამის, ბარძიმი წმიდა,
გვწყალობდეს ვინაც გვიკურთხა ვაზი
და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა.
ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც აღვუნთოთ
კვარი
და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე
წმიდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

**ზვიად გამსახურდია.**

## პრეზიდენტმა 8 პატიმარი და 3 პირობით მსჯავრდებული შეიწყალა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში, შეიწყალა 8 თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, რომლებმაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები გუშინვე დატოვეს. ამის გარდა, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 3 პირობით მსჯავრდებული (მათ შორის, 1 ქალბატონი), რომლებიც სრულად გათავისუფლდნენ პირობითად ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთის შემდგომი მოხდისაგან.



**აკადემიკოსი კონსტანტინე ჩაჩავა:**

# ნუ დაკარგავთ დედობის სიხარულს...

5

დიდი მეცნიერი 100 წლისაა




5

# „ორმა მეზობელმა დემარკაციის ნაბიჯი უნდა დაასრულოს ცივილურად, ისე როგორც ეკადრება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას და მეგობრობას“

**დავით გარეჯში შექმნილ სიტუაციას და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაციის საკითხს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა.** პრემიერის თქმით, კონსულტაციები ყველა დონეზე მიმდინარეობს. მამუკა ბახტაძის განცხადებით, ნაბიჯები იდგმება იმისთვის, რომ ორმა სტრატეგიულმა პარტნიორმა და მეზობელმა ქვეყანამ, დემარკაციის საკითხი დაასრულოს ცივილურად და მეგობრულად.

**„ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დადებითად უნდა შევაფასოთ ის საკითხი, რომ ამდენი წლის შემდეგ კომისიებმა განაახლეს მუშაობა. მე არაერთხელ გავაკეთე კომენტარი ამ საკითხზე. კონსულტაციები იყო ყველა დონეზე და შესაბამისად ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ ორმა მეზობელმა დემარკაციის ნაბიჯი დაასრულოს ცივილურად, ისე როგორც ეკადრება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას და მეგობრობას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება,“** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# მამუკა ბახტაძემ რობერტ რედფილდს უმასპინძლა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) დირექტორ რობერტ რედფილდს შეხვდა.**

შეხვედრაზე საუბარი ჯანდაცვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ბიოსამედიცინო, სიცოცხლის მეცნიერებების განვითარების მიმართულებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ორმხრივ თანამშრომლობას შეეხო. განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრთან ქართული მხარის თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობები.

ისაუბრეს ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის, ერთიანი ჯანდაცვის ჭრილში. ხაზი გაესვა ერთიანი ჯანდაცვის კონცეფციის მნიშვნელობას ჯანდაცვის მხრივ საფრთხეების თავიდან აცილების საკითხში.

აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) დირექტორი თბილისში ოფიციალური ვიზიტით დელეგაციასთან ერთად იმყოფება. ვიზიტის მიზანია, რობერტ რედფილდი ადგილზე გაეცნოს საქართველოსა და CDC-ის თანამშრომლობის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს.

საქართველოშიCDC-ის მისიას წარმოადგენს ინსტიტუციურ დონეზე ეპიდაფეთქებების დროული გამოვლენისა და რეაგირების შესაძლებლობების გაფართოება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან მჭიდრო კომუნიკაციის საფუძველზე.

# ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი ე.წ საზღვარს კეტავს

**ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან ე.წ საზღვარს კეტავს.** დე ფაქტო ხელისუფლება მიზეზად სკოლებში დაგეგმილ „ბოლო ზარს“ ასახელებს: **„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბოლო ზარის აღნიშვნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით 24 მაისის 20:00 საათიდან საზღვრის გამარტივებული გადაკვეთის ადგილებში მოქალაქეების გატარება არ განხორციელდება“,** — აღნიშნულია განცხადებაში. საოკუპაციო რეჟიმის ინფორმაციით, შეზღუდვა 26 მაისის 6:00 საათზე მოიხსნება.






# სალომე ზურაბიშვილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტმა რეგიონში არსებული ვითარებისა და რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების შესახებ ისაუბრა. თავის მხრივ, შეხვედრისას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ისი ჩინეთის საერთაშორისო გამოწვევებს, აშშ-თან და რუსეთთან ურთიერთობებს შეეხო.**

ხაზი გაესვა საქართველოს გეოპოლიტიკურ როლს და აღინიშნა, რომ ჩინეთი საქართველოს პარტნიორია და მნიშვნელოვნად აფასებს საქართველოს როლს აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ჰაბის თვალსაზრისით. საუბარი შეეხო ასევე, ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და საქართველოს საინვესტიციო გარემოს.

მხარეებმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესახებ ისაუბრეს და როგორც საქართველოს პრეზიდენტმა შეხვედრისას აღნიშნა, ყველა მოლაპარაკებაზე, მათ შორის, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, საქართველოს პარტნიორებმა უნდა მოუწოდონ რუსეთს, შეასრულოს საქართველოს მიმართ ნაკისრი ვალდებულებები. ასევე, უნდა ისარგებლონ ყველა დონის შეხვედრებით, იმისათვის, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მსჯელობა გაიმართოს მაღალ პოლიტიკურ დონეზე. ასევე, საქართველოს პარტნიორებმა, მუდმივად უნდა შეახსენონ რუსეთს, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია. შეხვედრისას განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების ფართო სპექტრი, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მიმართულება.

# ეიფორიას ნუ მივეცემით

**თქმა არ უნდა: ერთი მრავალთაგანი მეც გახლდით, რომელმაც ფრიად გავიხარე ე. წ. „ნაციონალებისა“ თუ „ევროპელების“ კანდიდატების არჩევნებში დამარცხებით. მაგრამ ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია პრეზიდენტყოფილის მეუღლის სანდრა რულოვსის (მთავარი მებრძოლის!) განცხადებამ: მე აყვავებული ჰოლანდიიდან იმიტომ ჩამოვედი, რომ თქვენ დაგეხმაროთ! საოცარია, კიდევ მოიძებნა მიამიტი და უბირი ხალხი, ვინც მას დაუჯერა და ხმა მისცა. სინამდვილეში რატომ ჩამოდის და რატომ ტრიალებს საქართველოში ეს ქალბატონი? პასუხი მარტივია: ჰოლანდიაში ჩვეულებრივ ბიურგერულმეშჩანურ ყოფიერებას, საქართველოს „დედოფლის გვირგვინის“ დაბრუნება არ სჯობს?! ან მისი ქმრის, პრეზიდენტყოფილის ტელეეკრანზე გამოჩენა, თმაგაკრეჭილი და მცოცავი, დაბრეცილი თვალებით — პირდაპირ ამაზრზენი გახლდათ.**

იცით, არსებობს ალღოს უნარი, რომელიც ყოველ ადამიანს მეტ-ნაკლებად აქვს. ალღო, განსხვავებით დისკურსიული (განსჯითი) შემეცნებისგან, რომელიც შემეცნების საგანს თანდათანობით და ნაწილობრივ იმეცნებს, გახლავთ შემეცნების საგნის მთლიანი ელვისებური წვდომა და უშუალო ჭვრეტა („ფილოსოფიის ისტორიული ენციკლოპედია“, ტ. 4, ბაზელი/შტუტგარტი 1976). და ამ ალღომ პრეზიდენტყოფილისა და მისი მეუღლის ხილვისას უცებ დამზაფრა: **ჩემ წინაშე აშკარად ბოროტი წყვილი იყო! აქვს ჩვენს მხატვარს ლადო გუდიაშვილს იშვიათი სურათი — „ბოროტთა ოჯახი“, ხოლო როდესაც სიორენ კირკეგორი საუბრობს ცნება „დემონურზე“, აქ აშკარად მისტიკური ალღო იკვეთება. „ცნება „დემონურს“, — ამბობს იგი,— ვიყენებ მისი უფართოესი მნიშვნელობით, მაგრამ არა იმაზე უფრო ფართოდ, რასაც ცნება სწვდება“ (სიორენ კირკეგორი, შიშის ცნება, თბილისი, 2014, გვ. 219). ასეა თუ ისე, რა გასაკვირია, რომ სააკაშვილრულოვსის წყვილმა ამდენი უბედურება შეჰყარა საქართველოს.**

ახლა ფხიზელი გონების კაცი ირონიულად გაიღიმებს და იკითხავს: აქეთ, „ოცნებაში“, სულ ანგელოზებია?

რასაკვირველია — არა! პირიქით, რაც ამ „ოცნების“ პარლამენტმა მავნე კანონები მიიღო, ისიც საკმარისია მისი სახის წარმოსაჩენად და რომელ სამართლიან პარლამენტზე შეიძლება, იყოს საუბარი?! მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მხოლოდ ჩვენი პარლამენტი არ სცოდავს. საკუთრივ პარლამენტარიზმში დევს მოჩვენებითი დემოკრატიის მანკიერება. ჯერ კიდევ 1923 წელს გამოჩენილმა გერმანელმა იურისტმა და ფილოსოფოსმა **კარლ შმიტმა** გერმანიაში გამოსცა წიგნი (Die geistesgeschichtliche Lage des heutigen Parlamentarismus. Muenchen, 1923), სადაც ამხილა და გააკრიტიკა თავად პარლამენტარიზმის იდეა, რაც ექვსი წლის შემდეგ გაიმეორა **ალექსეი ლოსევმა** თავის **„მითის დიალექტიკაში“** (ქართულად იხ. თბილისი, 2017).

ყოველ შემთხვევაში, უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი სამყარო ბოროტებაშია ჩაძირული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ **„ისტორიაში ცოტა იყო ეპოქები, რომლებშიც ბოროტება ისე მტკიცედ იყო გამჯდარი, როგორც დღევანდელ დღეს“** (Othmar Spann, Geschichtsphilosophie, 1932).

**ვიქტორ რცხილაძე**




# 26 მაისი

**ხვალ, 26 მაისს შესრულდება 101 წელი იმ დღიდან, როდესაც ქართველმა პოლიტიკოსებმა, სოციალ-დემოკრატების თაოსნობით, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ეს იყო საქართველოს სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე პირველი ნაციონალური, დემოკრატიული სახელმწიფო. მანამდე, როგორც ვიცით, გაერთიანებული საქართველოს მეფეებიც კი ასე იწოდებოდნენ — მეფე აბხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და ასე შემდეგ.**

ბუნებრივია, მაშინ ისე, როგორც სხვა ერებში, ქართველებშიც არ იყო დამთავრებული ერთ ერად ჩამოყალიბების პროცესი. აქედან გამომდინარე, ქართველი მეფეების ხსენებული სახელწოდება სწორი იყო.

გამოჩენილი თეორეტიკოსები იმდროინდელ (1918-1921 წ.წ.) ქართულ სახელმწიფოს მსოფლიოში დემოკრატიის ოაზისს უწოდებდნენ და აღიარებდნენ იმასაც, რომ საქართველოს მიბაძვით შემდგომში ევროპის ზოგმა ხალხმა მსგავსი სახელმწიფოების ჩამოყალიბება დაიწყო.

მართალია, დამოუკიდებელმა საქართველომ სამი წელი იარსება, მაგრამ ამ დროს ქართველებისთვის მცირე ოქროს ხანად მოიხსენიებენ. გაზეთის მრავალი გვერდი დასჭირდება იმას, რაც იმჟამინდელი საქართველოს და მის ხელმძღვანელობისადმი საქებარი სიტყვები გამოითქვა. საზღვარგარეთ. გვიქებენ ჩვენებურებს, ჩვენ კი მათ საქართველოს არაკეთილმოსურნეებად მოვიხსენიებთ. რატომ ხდება ფაქტების ამგვარი, ვიტყოდი, გაუკუღმართება? — ჩემი აზრით, ყველაფერ ამის მიზეზია, უპირველესად, კუთხურობის უკიდურესი გამოვლენა, აგრეთვე ბოლშევიკების მკვეთრი დაპირისპირება მენშვიკური მთავრობისადმი. ეს დამოკიდებულება, ასე ვთქვათ, ინერციით გადმოგვყვა აწმყოშიც.

საქართველოში არიან კატეგორია ადამიანებისა, თანაც არც ისე ცოტა, რომელთაც სურთ, 1918 წლის დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა იმდენად დააკნინონ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად აღდგენილი დამოუკიდებლობის დროინდელი მთავრობა მასზე წინ დააყენონ.

ამ თემას არ ჩავუღრმავდები, ვინაიდან წინამდებარე სტატია სხვა საკითხის გაანალიზებისთვის არის გამიზნული.

ცნობილი ექსპერტების აზრით, საქართველოს მთავრობა ყველაზე განათლებული იყო მანამდე არსებულ საქართველოს ყველა მთავრობაზე. ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაშინდელი მთავრობის წევრებმა სულიერი წრთობა მიიღეს ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ციხეებსა და კატორღებში, ხოლო განათლება — რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში.

იმდროინდელი ჩვენი პოლიტიკოსები, რომ იტყვიან, ტოლს არ უდებდნენ პეტერბურგელ და მოსკოველ პოლიტიკოსებს, ხოლო რეგიონში (მხედველობაში მაქვს კავკასიის და სამხრეთის ქვეყნები) უდავოდ უკონკურენტონი იყვნენ.

ყველაფერს ამას უარყოფენ, დასცინიან ჟორდანიას მთავრობას — გაიქცა საზღვარგარეთ და ხელისუფლება ნებაყოფლობით ბოლშევიკებს ჩააბარა, ვინაიდან ბოლშევიკები და მენშევიკები განუყრელი მეგობრები იყვნენო. ალბათ ისტორიაში გაუცნობიერებელი ადამიანები საზღვარგარეთ მყოფი ჟორდანიას მთავრობის ოპოზიციის მოსაზრებებს ეყრდნობიან. როგორც შემდგომში გამოააშკარავდა, ოპოზიციის ბევრი წევრი ბერიას აგენტად იქცა. ბერიას დავალებით, ასე ვთქვათ, მათ აგენტურულ საქმიანობაში შედიოდა ჟორდანიას მთავრობის თითოეულ წევრზე ცილისმწამებლური ჭორების შეთხზვა. სწორედ მათი ნამოქმედარია გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის — ნოე რამიშვილის მკვლელობა, ხოლო კარლო ჩხეიძეს მათმა უღირსმა საქციელმა მოაკვლევინა თავი.

ნაბოდვარი, თითქოს ჟორდანია მისტიროდა წარსულს და ძლივს დაითანხმეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, მტკნარი სიცრუეა. მას მიაჩნდა, რომ რუსეთის მოგერიებას ამიერკავკასიის ხალხთა ერთობა თუ შეძლებდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე კავკასიის კონფედერაციის შექმნის მომხრე დარჩა, მაგრამ ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ აუცილებლობამ მოითხოვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ამიტომ ჟორდანია და ჩხენკელი ყელგამოწეული ეხვეწებოდნენ ჯარისკაცთა და მშრომელთა კომიტეტს (მაშინ მას ჯერ კიდევ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა), რომ საქართველოს დამოუკიდებლობის



გამოცხადებისთვის მხარი დაეჭირა. რაც შეეხება ბოლშევიკებისა და მენშევიკების „მეგობრობას", ამაზე ლაკონიურ პასუხს სცემს ჟორდანიას ეს მოსაზრება: „ველურ ბოლშევიკებს ველური სტალინი ხელმძღვანელობს",

„დიდი" პოლიტიკოსი უსუფაშვილი ყოველ ცისმარე დღეს, პარლამენტის სხდომის გახსნის წინ, პარლამენტის წევრებს ასე მოძღვრავდა: ჩვენ ვგმობთ მახარაძის გზას და ერთგული მიმდევარი ვართ ილიას გზისო, თუმცა არც ერთ დასახელებულ „გზაზე" მას წარმოდგენა არა აქვს. უსუფაშვილისა და სხვა მისნაირი „პოლიტიკოსის" საყურადღებოდ დავასახელებ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შემდეგ იდეებს: ჟორდანიას იდეა — საქართველოს დამოუკიდებლობა, ან გაერთიანება კავკასიის კონფედერაციაში (კავკასიური სახლი), პოლიტიკური წყობით — რეალობისთვის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია. მახარაძის იდეა: საქართველოს გაერთიანება ყოფილ რუსეთში შემავალი ერების კონფედერაციაში, პოლიტიკური წყობით — ევროპული გაგების სოციალიზმი.

ქართველი ხალხისგან ათვალწუნებული სოციალ-დემოკრატები და მათი ხელმძღვანელი ნოე ჟორდანია 1893 წელს წერენ: **„თუ ინდივიდი უნდა იყოს თავისუფალი, საზოგადოება უნდა იყოს თავისუფალი, რატომ არ უნდა იყოს თავისუფალი ერი, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას საკუთარი სახელმწიფო?"**

1910 წელს საიდუმლოდ შეიკრიბნენ სოციალ-დემოკრატები (იგულისხმება ის ფრთა, რომელსაც ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა) და შეიმუშავეს ასეთი გეგმა; **„ვინაიდან რუსეთის იმპერია შინაგანად იხრწნება, გარდაუვალია მისი დაშლა. ამისთვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ, მაგრამ მასების მისამხრობად აგრეთვე სოციალური საკითხებიც პირველ რიგში დავაყენოთ"**. ამგვარად, სოციალ-დემოკრატიამ, დაშვებული ზოგი შეცდომისა, ძირითადად სწორი ტაქტიკური ნაბიჯების გადაგმით, შეასრულა სტრატეგიული ამოცანა — საქართველოს დამოუკიდებლობა მოაპოვებინა.

რაც შეეხება მახარაძის „გზას". მართალია, დამოუკიდებელმა საქართველომ სამი წელიწადი იარსება, მაგრამ იმდროინდელი ვითარების გამო, მან შეწყვიტა არსებობა. ერის არსებობისთვის კი საჭირო იყო, გამოენახათ ისეთი გზა, რაც რეალობისთვის შესატყვისი იქნებოდა. ვიტყოდი, ასეთი იდეის მატარებელნი იყვნენ ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონისტები ფილიპე მახარაძის მეთაურობით. სწორედ საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას მან **ბოროტება და დაპყრობა** უწოდა; სწორედ ნაციონალ-უკლონისტებმა გამოსტაცეს კრემლს კონფედერაციული სახელმწიფოს მთავარი ატრიბუტი — **საკუთარი არმიის ყოლა,** ხოლო როცა საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა გაძლიერდა, 1922 წელს საქართველოს ნაციონალ-უკლონისტური მთავრობა გადადგა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიაში. 1924 წლის აჯანყების მონაწილეების დახვრეტით თავზარდაცემულმა მახარაძემ სასტიკად დაგმო სტალინისა და ბერიას ქმედება, მაშინ როცა ქართველი ერის „საყვარელი შვილები", „გამოჩენილი" მწერლები და ისტორიკოსები დუმდნენ, მეტიც, გუნდრუკს უკმევდნენ ჯალათ ბოლშევიკებს.

ნაციონალ-უკლონისტებმა ამცნეს მსოფლიო საზოგადოებას ორთოდოქსი ბოლშევიკების შავბნელი საქმიანობის შესახებ. ყველაფერ ამისთვის ნაციონალ-უკლონისტები ფიზიკურად მოსპეს.

* * *

**1918-21 წლების მოვლენების სრულად წარმოდგენა და გაანალიზება შეუძლებელია, თუ მოკლედ მაინც არ მიმოვიხილავთ იმდროინდელი თურქეთის, საქართველოს და რუსეთის ურთიერთობას.**

ათა თურქი გულწრფელად ამბობდა: **„თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი აღმოსავლეთში და ასეთ მეზობლად შეიძლება საქართველო იქცეს"**. ბუნებრივია, არავის სურს, მეზობლად ძლიერი სახელმწიფო ჰყავდეს. სწორედ ამის გათვალისწინებით იყო აგებული თურქეთის იმჟამინდელი საგარეო პოლიტიკა, მაგრამ სიტუაციის ცვალებადობასთან ერთად იცვლებოდა ამ სახელმწიფოს პოლიტიკა.

თურქეთი ამშვიდებდა საქართველოს მთავრობას, რომ ართვინს, არდაგანს, ოლთისსა და ბათუმის ოლქს არ შეეხებოდა. შემდგომში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და საქართველოს მთავრობა მცირე ხნით რუსეთის მხარეს დადგა. როგორც ვიცით, წითელი არმიისა და ქართული საჯარისო შენაერთების ერთობლივი ქმედებით, გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით (მაზნიაშვილი სარდლად ჟორდანიამ დანიშნა) თურქი ასკერები ბათუმიდან და მის შემოგარენიდან განდევნეს. რუსეთის მონაწილეობა ამ ბრძოლებში რომ შეენიღბათ, გაერთიანებული ჯარის სარდლობა ქართველ გენერალს დაევალა.

იხ. 8 გვ.

## ღარიბი სახელმწიფო დამოუკიდებლობის დღისთვის 5 მილიონს ხარჯავს!

**დამოუკიდებლობის დღე ყოველ წელს აღინიშნება, მაგრამ შესყიდვების დიდი ნაწილი მაინც მოკლე ვადაში, ტენდერის ავლით, დაჩქარებული წესით ხდება. ყოველწლიური დღესასწაულისთვის იხარჯება სარეზერვო ფონდიც, რომელიც მხოლოდ გაუთვალისწინებელი, ფორსმაჟორული შემთხვევებისთვისაა.**

**არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, 26 მაისის აღსანიშნავად, გამარტივებულ შესყიდვებში 1,497,159 ლარი იხარჯება. მათ შორის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს 350,315 ლარის გამარტივებულ შესყიდვებს, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო — 392 940 ლარისას, თავდაცვის სამინისტრო კი — 754 219 ლარისას.**

**თავდაცვის სამინისტრო ყველაზე დიდ თანხებს ხარჯავს რეჟისორის, პროდიუსერისა და მოცეკვავეების დაქირავებაში (270 962 ლარი), საზეიმო ღონისძიების გახმოვანებაში (108 000 ლარი), სხვადასხვა საქონლის შეძენასა და ტრიბუნის მოწყობა-სცენის გაფორმებაში (120 171 ლარი).**

**460 000 ლარი გამოიყო თავდაცვის სარეზერვო ფონდიდან ფიცის დადების ცერემონიალის გადაღება-გაშუქებისათვის.**

**სარეზერვო ფონდიდან რესურსების გამოყოფა წინასწარ გაუთვალისწინებელ ფორსმაჟორულ შემთხვევებში უნდა ხდებოდეს, რადგან სარეზერვო ფონდები იქმნება სახელმწიფო ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. თუმცა საქართველოში, აღნიშნული თანხები ხშირად გამოიყოფა ღონისძიებების აღსანიშნავად.**

**„სულხანისთვის არასდროს დამისვამს კითხვა, როგორ აწამებდნენ ციხეში, რადგან მერიდებოდა, არ ვაძლევდი თავს უფლებას. არც მას უთქვამს ჩემთან არაფერი, მაგრამ ხომ ვგრძნობდი, რაშიც იყო საქმე. სულხანის ინტერვიუებით ვიგებდი ამ ამბებს. ან რა გაგება მინდოდა, ვუყურებდი ჩემს ქმარს, რომელიც ციხიდან სულ სხვა ადამიანი გამოვიდა... სულხანს რომ შეხედავდი, იქ საჭირო იყო რამე კითხვის დასმა?!“**
— აცხადებს **„აიპრესთან“** საუბრისას სულხან მოლაშვილის მეუღლე **თათია მოლაშვილი**. იგი იმ დღეს იხსენებს, როცა პირველად ნახა ნაწამები მეუღლის ფოტოები.

## თათია მოლაშვილი:

**ამის დავიწყება შეუძლებელია!**

# ხმამაღლა ვაცხადებ, სულხანი სიკვდილის პირამდე სააკაშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ მიიყვანეს!



**— თათია, როგორც ვიცი, თქვენ პირველად სწორედ მაია ნიკოლეიშვილმა გადმოგცათ სულხანის წამების ამსახველი ფოტოები...**

— დიახ, მაიამ ჩაატარა ექსპერტიზა... მაიას რიყესთან შევხვდი, მაშინ არც ვიცოდი, მაია ვინ იყო. დამირეკა, თქვენთან საქმე მაქვს და ისეთ ადგილას შემხვდი, რომ არავინ დაგვინახოსო. შევხვდით, სულხანი ამ დროს უკვე მეშვიდე საპყრობილეში იყო, იმ პირობებში, რაც წამების ტოლფასი კი არა, წამებაზე უარესი იყო. მაიამ მითხრა, სულხანმა გადმოგცა, კარგად ვარ, არ ინერვიულოსო და უცებ მაძლევს იმ საშინელ ფოტოებს. მე ვუთხარი, ქალბატონო მაია, ამას ჰქვია კარგად ყოფნა-მეთქი?! ვნახე უკვე, რა დღეშიც იყო სულხანი. მაიას გადაღებული ფოტოები შემდეგ გავრცელდა...

სულხანთან შესვლის უფლება არ გვქონდა თითქმის 2 წელი. იხვეწებოდა, ბავშვები მაჩვენეთ, ვაკოცებ ერთხელო... ელენე 1 წლის და 8 თვის იყო, ეხვეწებოდა, რომ ელენე ეჩვენებინათ, ელენე არ შეიძლება, ინფორმაციას გაიტანსო... ელენეს ლაპარაკიც კი არ შეეძლო... ეგენი ადამიანები არ იყვნენ!..

ვინც სულხანის წამებასა და მის ასეთ გაუბედურებაში დამნაშავეა, ყველა დაუსჯელია დღეს. ისიც კი აწუხებდათ, რომ სულხანი ცოცხალი გადარჩა და სუნთქავდა. სულხანის ლიკვიდაცია ციხეშიც უნდოდათ, უბრალოდ, ვერ მოასწრეს, არ ელოდნენ, ასე თუ გახმაურდებოდა მისი წამების ფაქტი და მთელი მსოფლიო გაიგებდა.

**— რატომ ჰქონდათ სულხანის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, რა იყო ამის რეალური მიზეზი?**

— მიზეზი ის იყო, რომ სულხანს ჰქონდა ის ღირებულებები, რაც მათ არ გააჩნდათ. ეგენი ვერ იტანდნენ კაცებს, ქართველებს, მართლმადიდებლებს, ოჯახის მოყვარულ ადამიანებს. თვითონ შვილებს საკუთარი ტყავის გადასარჩენად იფარებენ.

სულხანს ჰქონდა შეთავაზება, გამოდი და თქვი, შევარდნაძე ვაკუუმშია, სრულ ინფორმაციას ვერ ფლობს ქვეყანაში რა ხდებაო. რევოლუციამდე ურეკავდნენ მომავალი მაღალჩინოსნები და ეუბნებოდნენ, გადმოდი ჩვენთან, დაადე ხელი შევარდნაძეს, და ყველაფერი კარგად იქნებაო. თანამდებობასაც შეინარჩუნებ და ხელშეუხებელიც იქნებიო, მაგრამ სულხანმა ეს არ გააკეთა. თავის ღირსებას, კაცობას ვერ უღალატა. ქვეყანას ვერ უღალატა.

თავი არ დაუხარა არავის და უკან არ დაიხია, გამოაქვეყნა და საჯარო გახადა ის მასალები, რაც სააკაშვილის კორუფციულ გარიგებებზე ჰქონდა, როცა ეს უკანასკნელი იუსტიციის მინისტრი იყო.

სააკაშვილი, ბოკერია, ადეიშვილი და მერაბიშვილი არაკაცების ხროვაა. მე გთხოვთ, ზუსტად ისე დაწეროთ, როგორც ვამბობ. ეს ჩემი უფლებაა.

**— თქვენ თქვით, რომ სულხანს ჰქონდა მიხეილ სააკაშვილის კორუფციაში მამხილებელი მასალები. ხომ არ იცით, სად არის ეს მასალები?**

— ყველაფერი წაიღეს. ვალერი გრიგალაშვილი ერთ ღამეს შეიჭრა კონტროლის პალატის არქივში და გაზიდეს. 2 თუ 3 მანქანა გაიტანეს, ყველაფერი, რაც ეხებოდა სააკაშვილს. ყველაფერი გაანადგურეს.

ტელეკადრებია განადგურებული. ღამის სამ საათზე რომ ჩაუტარეს სულხანს სასამართლო, ამის კადრები აღარ არსებობს ფიზიკურად არც „იმედში“ და არც „რუსთავი 2“-ში. ყველა გვეუბნება, არ გვაქვსო.

**— ქალაქის მაშინდელმა პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ გამოძიება კანონის სრული დაცვით ჩატარდა. თქვენ რა კონტრარგუმენტები გაქვთ მისი ამ განცხადების წინააღმდეგ?**

— ვალერი გრიგალაშვილი იმასაც ამბობს, ციხეში სულხან მოლაშვილს აპარტამენტები და ევრორემონტი ჰქონდაო.

სულხანს საათის ქონის უფლებაც კი არ ჰქონდა, არც კალენდრის, არც სინათლის. დღეს ინტერნეტიდან დაწყებული, ტელევიზორით დამთავრებული ყველაფერი აქვთ და ისე აგზავნიან და ავრცელებენ თავიანთ მდგომარეობას.

სარდაფში, სადაც სულხანი იჯდა, არ იყო ელექტროგაყვანილობა... სრულ სიბნელეში იყო, მათიას იორში რომ შევიდა პირველად და კარი გაუღია, შუქი რომ მოხვდა სულხანს, დაცემულა.

მათიას იორშთან ერთად კიდევ მეორე წარმომადგენელი იყო ევროკავშირიდან, ცუდად გახდა ის კაცი და გაიყვანეს საკნიდან. მათიას იორშს ინტერვიუ რომ ჩამოართვეს ჟურნალისტებმა, თქვა, ასეთ პირობებში ჩვენთან ცხოველებს არ ამყოფებენო.

კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით... ციხეში, სადაც სულხანი იჯდა, ერთ-ერთ დაკავებულ თანამდებობის პირთან შეაგზავნეს ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, ბადრაგი არ იდგა იმ დროს, გასული იყო. სულხანს ცხელი ხაჭაპურები მიაწოდა ამ ადამიანმა და სულხანს იმდენად შიოდა, მთლიანად დაუკეცია და მთლიანად ჩაუდია პირში, მაგრამ ბადრაგს მიუსწრია და გადმოაყრევინეს პირიდან. ჩვენ არაფერს გვაგზავნინებდნენ, არაფერს არ იღებდნენ, არაფრის შეტანა არ შეიძლებოდა.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ სახლის გადაფორმების თემას პირადად ვალერი გრიგალაშვილი ხელმძღვანელობდა. სახლის გადაფორმებას სულხანის გათავისუფლების სანაცვლოდ გთავაზობდნენ?**

— გრიგალაშვილი და კახა კობერიძე თვითონ იყვნენ მე-7 საპყრობილეში მისულები სახლის თემაზე. სულხანმა უთხრა, თათიას დაურეკეთ, მე როგორ გავაკეთებ აქედან, რასაც ეტყვით, ჩემი ცოლი იმას გააკეთებსო.

ამის შემდეგ მე მელაპარაკნენ, და გრიგალაშვილმა ჩემთან დედა დაიგინა, ნახავთ, თუ არ გამოვა მეორე დღესვეო, სასამართლო იყო უკვე ჩანიშნული.



სულხანს ეგონა, რომ მე უარს ვიტყოდი ამაზე და ამიტომ დამალაპარაკა გრიგალაშვილს, მაგრამ მე სულხანის გამო ყველაფერს გავაკეთებდი. თანაც, ეს სახლი ჩვენი საკუთრება კი არ იყო. ჯერ ვიყიდეთ და მერე გადავუფორმეთ. ნახევარ საათში მოხდა ეს ყველაფერი. ყველაფერი თვითონ მოაგვარეს უცებ, ნოტარიუსთან, საღამოს, როგორც სჩვეოდათ.

სამჯერ ჩამიყვანეს მარნეულში, მარნეულს ეკუთვნოდა მაშინ წავკისი. გარდაბანში ჩამიყვანეს, და 7-ის ნახევრამდე მელოდებოდა ნოტარიუსი, შუაღამეს იქ დამხვდა შალიკიანის ცოლი ატირებული, ისიც უფორმებდა იმ ნოტარიუსთან თავის ქონებას ამ ნაძირალებს.

ამ ყველაფერს აგვარებდა ვალერი გრიგალაშვილი. მე უკვე ბავშვები მომზადებული მყავდა, ველოდებოდით, რომ სულხანს გამოუშვებდნენ სასამართლოდან. ტელევიზორს ვუყურებდი და გავიგე, რომ სულხანი საერთოდ არ მიიყვანეს სასამართლოში, გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. გავვარდი იმწუთას ციხეში და დავინახე, რომ ზუსტად ამ დროს სასწრაფოთი გამოჰყავდათ სულხანი.

აი, ასე გადამაფორმებინეს წავკისის სახლი. გადამაფორმებინეს იმიტომ, რომ მომაკვდავი სულხანი საავადმყოფოში გადაეყვანათ.

გრიგალაშვილს რა ნამუსით აქვს ხმა ამოსაღები? გრიგალაშვილი თუ დამინახავს სასაფლაოზე, არ მოვიდეს, თორემ არ ვიცი, რას ვუზამ, არაკაცი, მის ოჯახს ჰგონია, რომ კაცი ჰყავთ? ეგ არის არაკაცი! პათოლოგი არაკაცი და გამცეს ახლა პასუხი!

**— გარდა იმ წამებისა, რაც სტრასბურგის სასამართლომ დადასტურებულად ცნო, ამბობენ, რომ ციხეში სულხანს არასწორად მკურნალობდნენ, რამაც კიდევ მეტად შეარყია მისი ჯანმრთელობა. თქვენ თუ იცით რაიმე ამის შესახებ?**

— თვითონ არ ამბობდნენ, რასაც უკეთებდნენ სულხანს სააკაშვილი და ადეიშვილი? სასწრაფოსაც კი არ მიგვაკარეს, ასე მივდევდით და ვეხვეწებოდით...

პირველად მაშინ დავინახე სულხანი ახლოდან, ჩავხედე სასწრაფოს მანქანაში და სულ სხვა ადამიანი იწვა — წვერიანი, გამხდარი, სანთლისფერი კაცი. რას უკეთებდნენო, თვითონ უფრო არ იციან, რასაც უკეთებდნენ? მთელი სახელმწიფო ებრძოდა თურმე ერთ სულხან მოლაშვილს, მაგრამ როგორ ჰყვარებია ხალხს, ამითაც გამსკდარი იქნება გულზე სააკაშვილი. სააკაშვილის დასაფლავებაზე ორი კაცი თუ დადგება მარტო, ცოლ-შვილიც კი არ დაუჯდება თავთან!..



დიახ, ვაცხადებ ხმამაღლა და საჯაროდ! ვაცხადებ, სულხანი სიკვდილის პირამდე სააკაშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ მიიყვანეს!

სააკაშვილი, რომელიც პრეზიდენტი კი არა, კაცმაცუნა იყო, გაცოფებული იყო სულხანზე, ვერაფერი მოუხერხა, ვერ გატეხა! ჯერ იყო და 14 წლის შვილი მიცემეს, რათა სულხანს სარჩელი გამოეტანა სასამართლოდან, მერე იყო და ძმა თორნიკე დაუჭირეს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ, იმიტომ, რომ სულხანი იყო კაცი და არა მათი მსგავსი ლაჩარი!

ბედნიერი ვარ, რომ ოჯახი სულხანთან ერთად შევქმენი. ხომ ასე მალე წავიდა ამქვეყნიდან, ახალგაზრდა, 46 წლისა, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ იმ მოკლე პერიოდითაც, რაც სულხანის გვერდით გავატარე.

**— როგორ მოხდა სულხანის გათავისუფლება? ჩაერია თუ არა ამ საქმეში პატრიარქი?**

— პატრიარქს ძალიან უყვარდა სულხანი. ნინო ბურჯანაძის 40-დღიანი პრეზიდენტობა იყო და იმ დროს ნინო მივიდა პატრიარქთან. მაშინ უთხრა უწმინდესმა, შენ გაქვს ახლა ეს შანსი და გამოიყენე, გამოუშვი სულხან მოლაშვილი და დავით მირცხულავაო.

ნინო ბურჯანაძემ იმწუთას ხელი მოაწერა შეწყალებას და გამოუშვა. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ეს ამბავი. იმდენად გარეწრები იყვნენ, ბაჩო ახალაია შევიდა სულხანთან საკანში და უთხრა, გინდა თუ არა, უნდა დაწერო, გთხოვთ, მაპატიოთო, შეწყალება თუ გინდაო. ნაძირალები! შეწყალებული იყო სულხანი და ატყუებდნენ, არ ხარ შეწყალებული და ეს უნდა დაწეროო. იცით, რა ტექსტი დაუდეს? იცით, რა უნდა დაეწერა?! მთელი ცხოვრება მადლიერი ვარ სააკაშვილის და მასთან არანაირი პრეტენზია არ მაქვსო.

სულხანმა ეს არ ქნა, დავრჩები აქო! სულხანმა ისე კაცურად განვლო თავისი ცხოვრება, რომ ყველას შეშურდება, და ახლა მკვდარი სულხანისიც კი შურს იმ კაცმაცუნას...

# აკადემიკოსი კონსტანტინე ჩაჩავა: ნუ დაკარგავთ დედობის სიხარულს...

## დიდი მეცნიერი 100 წლისაა

**გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კონსტანტინე ჩაჩავა 21 მაისს 100 წლის გახდებოდა.**

კ. ჩაჩავა დაიბადა 1919 წელს. 1936 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, ხოლო 1941 წელს მოსკოვის ი. სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი. 1942-1943 წლებში იგი წალკის რაიონის მთავარი ქირურგია, შემდგომში 1945 წლამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკის ორდინატორად და, ერთდროულად, რუსთავის საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ.

1949 წელს კ. ჩაჩავამ წარჩინებით დაამთავრა საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა ქ. მოსკოვში და დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამავე წლიდან იგი იწყებს მუშაობას თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიის კათედრაზე ასისტენტად, ხოლო 1952 წლიდან - დოცენტად. 1959 წელს კ. ჩაჩავა წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას და მომდევნო წელს მას ირჩევენ ამავე კათედრის გამგის თანამდებობაზე. 1965 წელს იგი ინიშნება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. კ. ჩაჩავას ხელმძღვანელობით ინსტიტუტისა და კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება.

კ. ჩაჩავას 1968 წელს პერინატალურ მედიცინაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავებისა და მათი კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

კ. ჩაჩავა 1966 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად. 1972 წელს იგი აირჩიეს ევროპის პერინატოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრად, 1977 წელს — ჩეხოსლოვაკიის ი. პურკინიეს სახელობის საექიმო საზოგადოების, ხოლო 1978 წელს უნგრეთის სამედიცინო საზოგადოების საპატიო წევრად. ის იყო გამოჩენილი მეცნიერი, მეან-გინეკოლოგი, რომლის შრომებმა ფართო აღიარება ჰპოვა, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ის იყო ფუძემდებელი მეანობაში ახალი



მიმართულებისა, რომელიც ეხებოდა ნაყოფის ფუნქციური მდგომარეობის შეფასებას და მკურნალობას ფიზიკური და ელექტროფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენებით. მან თავის მოწაფეებთან ერთად პირველმა შეიმუშავა ნაყოფის პირდაპირი ელექტროენცეფალოგრაფიის, ელექტროკარდიოგრაფიის, რეოენცეფალოგრაფიის და კრანიოცერებრალური ჰიპოთერმიის მეთოდები. აკადემიკოსმა კონსტანტინე ჩაჩავამ და მისმა ცნობილმა მოწაფეებმა დიდი წვლილი შეიტანეს ნაყოფის თავის ტვინში მეტაბოლიზმის შესწავლის საქმეში. მსოფლიოში პირველებმა შეძლეს ნაყოფის ელექტრო-ენცეფალოგრაფიული მონაცემების ნორმისა და პათოლოგიის შემუშავება.

მრავალი მეთოდი, რომელიც კონსტანტინე ჩაჩავას და მისი მოწაფეების მიერ შემუშავებული იყო რამდენიმე ათეული წლის წინათ, დღესაც არ კარგავს აქტუალობას და ფართოდ გამოიყენება მეანობა-გინეკოლოგიაში და პერინატოლოგიაში.

აკადემიკოსმა კონსტანტინე ჩაჩავამ საფუძველი ჩაუყარა ქართველ მეცნიერთა მეგობრობას სხვადასხვა ქვეყნის პერინატოლოგებთან და მეან-გინეკოლოგებთან (გერმანია, იაპონია, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი).

ბატონი კოტე იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ ვირტუოზი დასტაქარიც. ვისაც უნახავს მისი ოპერაციები, ის არასოდეს დაივიწყებს მათ. ბატონ კოტეს უყვარდა ახალგაზრდები, ის ხელს უწყობდა მათ, ასწავლიდა ამ რთულ სპეციალობას, ამავე დროს ბევრ თავის მოწაფეს გაუკაფა გზა მეცნიერებისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კოტე ძალიან იყო დაკავებული, ის ყოველთვის პოულობდა დროს, გამოეჩინა ყურადღება, სითბო, მისთვის დამახასიათებელი იუმორი, სიცოცხლისმოყვარეობა. მას უყვარდა მეგობრებთან მოლხენა, ის ქართული ლაზათით იყო დაჯილდოებული. ა. ჩაჩავა საოცარი ადამიანი გახლდათ — ყოველთვის ელეგანტური, წარმოსადეგი გარეგნობის ასეთად რჩებოდა მაშინაც კი, როდესაც თავს დაატყდა მძიმე დაავადება და სიცოცხლის დღეები დათვლილი ჰქონდა, თავისი ინტელიგენტური ბუნებიდან გამომდინარე, არავის ამას არ აგრძნობინებდა.

**გარდაცვალების წინ კონსტანტინე ჩაჩავამ დაუტოვა ქართველ ქალებს ანდერძი: „ერის გამრავლება ყოველთვის ყოფილა და არის ერისკაცთა საზრუნავი. და რაკი ქართულ ენაში ერისკაცობა ერისქალობასაც ნიშნავს, რაკი, როგორც სულმნათი აკაკი ამბობდა, „ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია როგორც კერძო ოჯახის, ისე საზოგადოებისაც — ე.ი. მთელი თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოსი“, ისევ ჩვენს ქალებს მინდა, შევევედრო: „ნუ დაკარგავთ დედობის სიხარულს!“.**

**სს ჩაჩავას კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

## ◉ ძვირფასი მიმოწერა

# „მოკითხვითაც არა მკითხულობს?..“

## დიდი ადამიანების პირადი წერილები

**„წერილები წარსულიდან“ — ამ წიგნში ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, მერაბ კოსტავას... პირადი წერილებია. წიგნი თბილისის მუზეუმების გაერთიანებამ გამოსცა.**

ალბომი მარჯორი უორდროპის წერილით იწყება. ილია ჭავჭავაძეს სწერს, შენი „განდეგილი“ ვთარგმნე და ინგლისელებს უნდა გავაცნოო. წერილიდან ჩანს, რომ სხვა უცხოელებივით ქართული სიტყვების ბრუნვაში ჩასმა უორდროპსაც უჭირდა. **„ჩემი ძმა დიდი პატივი ჰქონდა, რაოდენიმე წელიწადი უკან ტფილისში თქვენი გაცნობა ქმნა“,** — წერს ის. ილიას პასუხია: **„სასურველია ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული“.**

1873 წელს ნიკო ნიკოლაძემ ევროპაში გამგზავრების წინ „დროებაში“ წერილი გამოაქვეყნა: „მშვიდობით, მშვიდობით“. ამ წერილს ილია ჭავჭავაძე სულით ხორცამდე შეუძრავს. ნიკოლაძეს სწერს, არ მჯერა, „მდუღარე“ კაცი ხარ და ალბათ წუთიერმა მღელვარებამ გათქმევინა ეს ყველაფერიო: **„ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად? იქაო, ამბობს შენი ფელეტონი, საცა უკეთესი ცხოვრებააო. არა, ერთი მითხარ, მაგას ლუარსაბ თათქარიძეც კი ვერ იზამდა?!“**

აქვეა ახალგაზრდა ილიას წერილი ოლღა გურამიშვილისადმი. როგორც ჩანს, გურამიშვილებს ილია სიძედ მაინცდამაინც არ მოსწონდათ და მასაც საყვარელი ქალის დამშვიდება უწევს:

**„რა გაშფოთებს? შენ ჩემი ხარ, ჩემო მეგობარო, და ჩემი იქნები. დე, მამაშენმა, თუკი უნდა, უარი თქვას, განა ოლიკოს უიმისოდ არ შეუძლია ჩემად გახდომა? რას იზამს? თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, მშფოთვარე ფიქრებს თავი ანებე. თავს ნუ იღელვებ. რა უნდა მოხდეს, დიდი-დიდი მზითვებზე უარი გითხრან... ნუთუ ისეთი უვარგისი ვარ, რომ პური არსობისა შრომით ველარ მოვიპოვო? არ იფიქრო, ჩემო მეგობარო, არა ვარ ასეთი...**

**შენ მაინც ღელავ და თან მოწყენილი ხარ. შენ ან სულ არ გჯერა ჩემი, ან ეჭვიანი ხარ, ძალზე ეჭვიანი, ანდა არ გებრალები... ჩვენ ხომ დიდად მომთხოვნი არა ვართ. ურთიერთ სიყვარულითა და ნდობით მცირედითაც დავკმაყოფილდებით. მაშ, რაღა გვაწუხებს? იცოდე, რომ ილიკოს შენში მხოლოდ შენ უყვარხარ და ყოველგვარ უბედურებაში შენთან წმინდა იქნება. ნუ მაწყენინებ!“**

შემდეგი წერილი წლების შემდეგაა დაწერილი, ამჯერად ოლღა გურამიშვილის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე. წინამურის ტრაგედია უკვე მომხდარია. ოლღა მხოლოდ იმას ითხოვს, სადმე ქმრის საფლავთან ახლოს მიეცეს ბინა:

***„მსურს ვიდგე მთა-წმინდის უბანში გზის პირას. ამ ახალი ბინიდამ მე ხშირათ, ჩემ სანუგეშოთ, ავალ ხოლმე წმინდა დავითის მონასტერში მგოსანი ილიას ნეშტის თაყვანისსაცემლად“.***

**„ღენერალობის იმედიცა მაქვს“.**

გენერლობის იმედი ნიკოლოზ ბარათაშვილს ჰქონდა. ამისთვის ჯერ დაღესტანში სამსახურია საჭიროო, ზაქარია ორბელიანს სწერს და მერე დის ქორწილის ამბავს უყვება - კატო ბარათაშვილი ახალგორში გაუთხოვებიათ და ოსური სიმღერებიც უმღერიათ. ტატო კმაყოფილია, რომ და მშვიდ, მდიდარ და უვალო ოჯახში მოხვდა.

სხვა წერილში მეორე ორბელიანს, გრიგოლს, ეხუმრება: **„შევიტყვეთ, რომ თურმე ფრანციცულს სწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: „სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“.**

შემდეგ მაიკო ორბელიანს სწერს, თავისი ყველაზე გულწრფელი წერილების ადრესატს, ჩვენ წელს ოცდაექვსი წლის შევსრულდით, ყველაფერი წინა გვაქვსო... ბედის ირონიით, ამ წერილიდან ერთ წელიწადში ტატოს ავადმყოფობა მოკლავს, რამდენიმე წლის შემდეგ კი მაიკოც გარდაიცვლება.

***„ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ შენმა გაზდამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს). ვის ნათესავებს ემდური? თითქოს არავის იცნობდე! განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრი გრძნობა? — არა!.. ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არა მწერს? ივანეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენი ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია!... მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს?... ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჩევანში! ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!“***

**„უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ“...**

მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენის გადაგვარებით არის შეშფოთებული, ძალიან ბევრი რუსული სიტყვა შემოვიდა, ქართველები ქართულად წერისას ისე ცოდვილობენ, თითქოს ბერძნულს ან ლათინურს წერდნენო:

**„უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ და ყური უგდონ დღევანდელ ქართულს, ნებაყოფლობით უკანვე ჩასცვივდებიან საფლავებში“.**

ალბომში მელიტონ ბალანჩივაძის წერილიცაა ზაქარია ფალიაშვილისადმი. ხალხური სიმღერები კი მშვენივრად შეგიდგენია, მაგრამ: **„ილაჯი მიაქვს ამოდენ დელა ოდელას, ორიდელა ნანინას და სხვა ამგვარს, მეტადრე იქ, სადაც სიმღერა იწყება და მთავრდება ამ იდიოტური სიტყვებით“,** - წერს ის.

**„წუხელ სიზმარში განახე“**

**„წუხელ სიზმარში განახე: თითქოს პატარა კი არა, მოზრდილი ვარ და მაინც აკვანში ვწევარ. მთელი აკვანი ოქროს ძაფისაგან იყო მოქსოვილი და თითოეული ძაფი სხვადასხვა ფერად ბრწყინავდა“,** — სწერს ოლია ოკუჯავა გალაკტიონს. გალაკტიონი საქართველოშია, ოლია — გადასახლებაში. უკვე იმედიც არა აქვს, რომ უკან დაბრუნდება. ვერც დაბრუნდა...

**„ჩემო ძვირფასო, ტიტანური ძალით მინდა, რომ მოგეხვიო. ეხ. შეგხვდები კი იდესმე? ძვირფასო ჩემო, ნაღვლობენ, დარდობენ, ხელობენ ოცნებანი შენზე. შინ ყოფნა მინდა. მორჩა და გათავდა!!! თითქოს დავკარგე ყველაფრის იმედი... ძვირფასო, უკვე მიჭირს წერილების წერა. რა ვქნა? ძალიან მიჭირს. მშვიდობით!“**

კიდევ ერთი ნაწყვეტი სხვა წერილიდან: **„გაზეთში წავიკითხე, რომ მანდ, შენთან, საქართველოში, თბილა. 20-25 გრადუსია სითბო. თესვა დაიწყო, აყვავდა ნუში და ა.შ. დამიკოცნე მაგ გაზაფხულის ფერადოვანი შემობიჯება“.**

ძალაუნებურად მირზა გელოვანი გახსენდება: **„ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში“...**

არანაკლებ ტრაგიკულია თავად გალაკტიონის წერილები. მას, ილია ჭავჭავაძისგან განსხვავებით, თავისი ოლიას დამშვიდება არ გამოსდის:

**„საშინელი მარტოობაა, რა უსაზღვრო უთვისტომობაა... რაგვარი უფსკრული მიდგას წინ და მიპირებს შთანთქმას... მეშინია, ოლოლ, მეშინია!...“**

**„ეხლა რომ შენთან ვიყო, დაგკოცნიდი, დაგკოცნიდი გიჟივით“.**

**„... და ერთ რამეში, სასტიკ სინამდვილეში თანდათან ვრწმუნდები: მე თურმე მთელ დედამიწის ზურგზე არ შემიძლია არავისთან გულწრფელი საუბარი და წერილის მიწერა... აი, თუნდაც ეს წერილი... ვერას გზით ვერ გავიგე, რა მინდა ვთქვა და რასა ვწერ“.**

**„შევედი ეკლესიის ეზოში და დიდხანს ვიწექი ქვაზე, შემდეგ წარწერებს ვათვალიერებდი. გავიცანი ბევრი მკვდრები... აი, თუნდაც შენო! — მითხრა ერთმა მკვდარმა. — ნუ გეწყინება და ეხლაც თუ მე შენ არ გჯობდე, დამიმტვრიე ეს ძვლებიო...“.**

**„ეხლა ვწყვეტ წერილის წერას, სახლის პატრონის ბავშვი შემოვიდა და სამელნე მთხოვა. კალამიც წამართვა, ასე რომ... შენი გ.“**

**თეა თოფურია**

# ფესვების ბრძანება: ცხოვრების წესად

## ციკლიდან: „დროის იეროგლიფები“

**ამ რამდენიმე წლის წინათ რეზო ჭეიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავი აღინიშნებოდა ქუთაისის დრამატულ თეატრში; და ის აღმოჩნდებოდა ერთი საუკეთესო ნიმუში, თუ როგორი უნდა იყოს საიუბილეო საღამო. სცენარიც — ჩინებულად მომზადებული, რეჟისორულადაც — მშვენივრად გააზრებული, გამომსვლელებიც — კარგად შერჩეულნი, სანახაობრივი მხარეც — წუნდაუდებელი...**



მაგრამ შთაბეჭდილება იმ იუბილესი გაფერმკრთალდებოდა და, შესაძლოა, განახევრებულიყო კიდეც, წამყვანად გიზო თავაძე რომ არ მოგვევლენოდა, თავისი მრავალფეროვანი ნიჭის კიდევ ერთი გამოვლინებით — არტისტიზმით.

ამასთან: როდესაც რეზო ჭეიშვილი დგას სცენაზე, წინასწარ ვერ განსაზღვრავ, უეცრად რას იტყვის მაკვარანცხულს, ან რას მოიმოქმედებს, ყოველ წუთს არის მოსალოდნელი, სცენარის მსვლელობას გადაუხვიოს. და ამიტომაც აუცილებელია, ისეთი კაცი იდგეს მის გვერდით, ვინც არ დაიბნევა და, მოხდენილადაც აჰყვება მოქმედებაშიც და არც მის ხუმრობა-რეპლიკებს დატოვებს პასუხშეუგებებელს.

და გიზო თავაძის იმპროვიზატორული უნარიც ჩინებულად უნდა გაელვებულიყო იმ საღამოს, ისეთი განცდაც რომ გაგიჩნდებოდა: პირველად კი არა დგას ამხელა სცენაზე, შესისხლხორცებია შოუმენის პროფესიასო.

მოგვიანებით იგი რეზო ჭეიშვილს ბიუსტსაც დაუდგამდა მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში, რომლის ხელმძღვანელობასაც ჩააბარებდნენ, თუმც ნამდვილი ძეგლი მაინც ის იქნებოდა, „მწვანეყვავილას“ — რეზოს მიერ დაარსებულ ჟურნალს — რომ შეუნარჩუნებდა ქუთაისსა და მთელს საქართველოს (ელგუჯა თავბერიძესთან ერთად).

პარკშიც სრულიად ახლებურად უნდა გამოჩენილიყო — კიდევ ერთი დაფარული უნარი გაემჟღავნებინა, თორემ სხვაგვარად როგორ შეძლებდა, რომ ნაგავსაყრელი წარმტაც გარემოდ ექცია, გაუქმებული და მიწით ამოვსებული სარდაფი კი — ლიტერატურულ სალონად.

თუმც, კაცმა რომ თქვას, მთელი პარკიც ვეება ლიტერატურული გარემოა, მწერალთა ხეივნებითა და ბიუსტებითაც დამშვენებული, ცისფერყანწელთა სახელობისა იქნება, აკაკი წერეთლის, ოტია იოსელიანისა თუ სხვათა და სხვათა, კიდევ და კიდევ რომ მიემატება და საგანმანათლებლო შინაარსსაც სულ უფრო ხელშესახებად შეიძენს: ბავშვები იმთავითვე რომ შეისისხლხორცებენ ცოდნას, თუ ვის ხეივნებში დაიარებიან და ვისი სახებანი გადმოჰყურებენ.

უკეთესი ექსკურსიამძღოლიც ვინ გინდა — გიზო თავაძე ოღონდაც ამ ადამიანებზე, საერთოდაც ლიტერატურაზე ალაპარაკე, გემოვნებიანი, სანდო კრიტიკოსის უნარიც რომ უნდა გამოემჟღავნებინა, და ის, რაც თავიდან მხოლოდ ზეპირ საუბრებში იხარჯებოდა, ბოლოს და ბოლოს ფურცლებზეც უნდა გადასულიყო, და ეს მოხდებოდა ჩანაწერების ციკლში „ზოგი რამ“, რომელიც მოიცავდა: ლიტერატურულ სილუეტებს, მემუარისტულ ჩანახატებს, პუბლიცისტურ ნატეხებს და მათთან ერთად კრიტიკულ-ესთეტიკური დაკვირვებების მთელს სერიას, ძველ თხზულებებსაც რომ შეახსენებდა მკითხველს, თორემ ახლებს ფეხდაფეხაც მიჰყვებოდა.

ელგუჯა თავბერიძე ეხუმრება ხოლმე:

— ჩვენი დროის აკაკი წერეთელი ხარ! პატარა აკაკი წერეთელი, მაგრამ მაინც...

გიზოს ამ სიტყვების გაგონებისას ყოველთვის სუნთქვა ეკვრის და ლამის ჩამოიღვენთოს. და ისე ეკითხება: კი მაგრამ, რატომ, რანაირადო? — თითქოს პასუხი მანამდე უამრავჯერ არ მოესმინოს.

ელგუჯა მისი ნიჭის მრავალმხრივობას გულისხმობს.

თუ არადა, თქვენვე განსაჯეთ:

გიზო თავაძეც პოეტიცაა, პროზაიკოსიც, დრამატურგიც, პუბლიცისტიც, ესეისტიც, თეატრალიც — დეკლამატორისა და არტისტის ამპლუაში, ეროვნული და პოლიტიკური გამოსვლების აქტიური მონაწილეც, მეურნეც, დაუმცხრალი მოგზაურიც, და არც ქალების (მკითხველები იგულისხმება, ცხადია) ყურადღება მოჰკლებია არასოდეს.

ვაჟა-ფშაველას იმ ცნობილი მოსაზრებისა არ იყოს:

კატა ვეფხვი არ არის, მაგრამ ვეფხვს ყველაზე მეტად მაინც ისა ჰგავსო.

და ამ შეფარდებითაც რომ ახსენდებოდეთ შენი დანახვისას აკაკი წერეთელი, დიდი ღირსება და პატივია. ხუმრობა კი იმის ხუმრობაა, ჭეშმარიტების მარცვალს ნაღვერდალივით რომ ინახავს.

გიზო თავაძის ერთ პიესას, მოთხრობების მიხედვით ინსცენირებულს, რომელიც საკმაო წარმატებითაც დაიდგა ქუთაისის თეატრში, ასე ერქვა: „ინტერვიუ ფესვებთან“, და ეს სათაური არსებითად მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსიცაა მისი, და არამარტო შემოქმედებითი ძიებების, არამედ ცხოვრების წესის განმსაზღვრელიც.

ისე სპექტაკლის ის წარმატება რომ მახსოვს, მიკვირს და ვერ ამიხსნია:

რატომ არ უნდა იდგმებოდეს ხშირად გიზო თავაძის პიესები თუ გასცენიურებული მოთხრობები ქუთაისშიც და საქართველოს სხვა ქალაქებშიც? და თბილისის თეატრებსაც მოუხდებოდა ის მძაფრი სიუჟეტები, გამოკვეთილი ხასიათები, ჩინებულად აწყობილი დიალოგები, ის დრამატიზმი და ის იუმორი.

არ არის გამორიცხული, თვითონვე მოჰკიდოს ხელი რეჟისორობასაც და ეს უნარიც თვალნათლივ გაამჟღავნოს — აკაკი წერეთლის მაგალითი არ უდევს წინ თუ რა?!. კეთილი ცხოვრებით არც იმას მოუვიდოდა, ამ მხრივაც ეცადა ბედი...

აგერ გიზო თავაძის საიუბილეო საღამო რომ გაიმართებოდა ქუთაისის ოპერის სცენაზე და კიდევ ერთხელ გავხდებოდით მოწმე სანიმუშო თავყრილობისა, იმიტომაც, დრამატურგიულ ქარგას 60 წლის იუბილარი თვითონვე რომ ააგებდა და საღამოს მსვლელობას სპექტაკლს დაამსგავსებდა, თავისი მხრივ როდის-როდის რომ გამოჩნდებოდა სცენაზე, მანამდე მისი როლის შესრულება რომ გახდებოდა საჭირო.

**ეს შეხვედრა უმთავრესად რეჟისორ თორნიკე მარჯანიშვილისა და მის მიერ შექმნილი თეატრალური სტუდიის ახალგაზრდების მხრებზე გადავიდოდა, მშვენიერი სანახაობის მოწმეებს რომ გაგვხდიდნენ.**

**და ეს იმიტომაც, მართლაც ღირსეული კაცი რომ იდგა სცენაზე — ქუთათურებს არ ეშლებათ, ვის მიაგონ პატივი, ვისი ნაღვაწი გამოარჩიონ და შეაფასონ ისე, სამაგალითოდ რომ წარმოდგეს. და ნიშანდობლივია, სცენა და დარბაზი ჰარმონიულ მთლიანობას რომ ქმნიდა და მაყურებელნიც მონაწილეებივით ჩართულნი იყვნენ მის მსვლელობაში.**

**საიუბილეო საღამოები დიდად რომ ვერ დაიკვეხნის გულწრფელობით, აქ სწორედ სიწრფელესაც უნდა მოვეხიბლეთ, იუმორისტული ელფერით აღბეჭდილ ბიოგრაფიას მთავარი გმირისა მოხდენილად რომ შეავსებდნენ: მერაბ გვაზავა, თემურ ამყოლაძე, ავთანდილ ყურაშვილი, ზაალ ებანოიძე თუ ელგუჯა თავბერიძე — და საცნაური გახდებოდა გიზო თავაძის მოღვაწეობის ის მხარეც, რამდენი რამ გაეკეთებინა მშობლიური ქალაქისათვის, კულტურის სამსახურს რომ ხელმძღვანელობდა მერიაში.**

ჯერ მარტო ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის დადგმა რად ღირს და იპოლიტე ხვიჩიასი; ლიტერატურულ თავყრილობებს რომ გამართავდა და მთელი საქართველოდან მოიწვევდა სტუმრებს, ანდა სასაჩუქრო წიგნებსაც შესძენდა სამწერლო ყოფას — ილიას, აკაკის, ვაჟას ერთტომეულებს, ამას რა მიხვედრა უნდა, და ფოტოხელოვანთა კონკურსსაც რომ მოაბამდა თავს, თქვენ ის თქვით...

მშვენიერ ლირიკულ ლექსებს შესაფერისი დეკლამატორებიც ეშოვნა იმ გოგო-ბიჭების სახით, ხვალ თეატრალური ყოფა რომ უნდა გადაიბარონ ქუთაისში, ოღონდ ვუსურვოთ, რომ რეჟისორებიც გამოსჩენოდეთ და არც როლები მოჰკლებოდეთ, თორემ გული გეწვის, ისე იშრიტება ჩვენი შესანიშნავი არტისტების ნიჭიერება როლების დაუსრულებელ მოლოდინში.

ფინალური აკორდი კი სხვა რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა ერთი საუკეთესო მონაპოვარი ჩვენი პუბლიცისტური პოეზიისა: „და ავირჩიოთ ნაზარეველი“ — ასე გულისშემძვრელად რომ წარმოსახავს, ასე შიშვლად და შეუფერადებლად ჩვენი ცხოვრების დრამატიზმს. და სავსებით სწორი გადაწყვეტილებით, მონტაჟურ ქარგაზე აიგებოდა ეს დეკლამაცია და მთელი ახალგაზრდული სტუდია იქნებოდა ჩართული.

პუბლიცისტური პოეზია დაჰკარგავდა თავის ნამდვილ დანიშნულებას, რაც ილია ჭავჭავაძესა და მის მოდასეთ დაეკისრებინათ მისთვის, და გადაიქცეოდა პროპაგანდისტულ ლექსმთხზველობად, დაკნინდებოდა და გაუფასურდებოდა. და არა მარტო საბჭოურ ეპოქაში წახდებოდა, ახალ დროებაშიც პუბლიცისტური ლექსი კვლავაც მომწყვდეულია ჩარჩოში, რადგანაც გამოხატავს არა ქართველი საზოგადოების ინტერესებსა და სატკივარს, არამედ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა... და გიზო თავაძის სულიერების კაცს ძალდაუტანებლად უნდა გადაელახა ეს შემოფარგლული, შემოზღუდული გარემო და პუბლიცისტური ლექსისათვის დაებრუნებინა თავისი ოდინდელი დანიშნულებაც და ღირსებაც.

ეს არის სწორედ პუბლიცისტური პოეზიაც და პოლიტიკური სატირაც, რასაც გიზო თავაძე ქმნის და ლექსითაც ისევე წარმოსახავს ჩვენი დრამატული, ათასგვარი საფიქრალ-სადარდებელით აღსავსე სინამდვილის სურათებს, როგორც მემუარისტულ-პუბლიცისტური ჩანაწერებით, სანდო მეგზურად რომ გვეგულება ის ჩანაწერები ჩვენი ისტორიის იატაკქვეშა ამბებისა თუ დაფარული შრეების წარმოჩენის პროცესში.

დაუღალავი, დაუმცხრალი მოგზაურის ჟინიც რარიგ ამშვენებს მის კოლორიტულ პორტრეტს, და სწორედაც ასეთი კაცი უნდა სტუმრობდეს საქართველოს ყველა კუთხეს, მის მთასა და ბარს, და არამარტო თვითონ აღივსებოდეს ახალ-ახალი შთაგონებით, ყველგან შეჰქონდეს მართალი სიტყვა, არტისტული სულითაც გაჟღენთილი, თორემ ფესვებთან ინტერვიუთი და ფესვების ბრძანებით ნაკარნახევი ხომ თავისთავად!..

* * *

ეს ელგუჯა თავბერიძე ხომ არ მოიშლის და არა ამ ხუმრობას: ჩვენი დროის აკაკი წერეთელი ხარ! პატარა აკაკი წერეთელი, მაგრამ მაინცო...



**როსტომ ჩხეიძე**

# თსუ-ში ქართულ-აფხაზური ფილმის — „ანიხას“ წარდგინება გაიმართა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-აფხაზური ფილმის — „ანიხას“ წარდგინება გაიმართა.**

წარდგინებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, აფხაზური თემატიკით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოება, პროფესორები, სტუდენტები დაესწრნენ.

ფილმი გადაღებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აფხაზური ენისა და კულტურის კომისიისა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ერთობლივი პროგრამის „გავიცნოთ აფხაზეთი“ ფარგლებში. აფხაზურ მხარესთან ერთობლივად განხორციელებული პროექტების საფუძველზე თსუ-ში დაარსდა აფხაზური ბიბლიოთეკა, აფხაზური ზეპირსიტყვიერების კურსები, აფხაზურენოვანი ინტერნეტრადიო, რომელიც თსუ მერვე კორპუსიდან მაუწყებლობს.

**„დოკუმენტური ფილმი „ანიხა“ აფხაზეთში ძველით ახალი წლის აღნიშვნას ეხება. აღსანიშნავია, რომ სახალხო დიპლომატიის დონეზე ბევრი რამის გაკეთება ხერხდება. ეს არის მნიშვნელოვანი როგორც ეთნოგრაფიული, ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით და კარგია, რომ აფხაზებთან კონტაქტები არსებობს. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ამ კუთხით საქმიანობა,“** — განაცხადა თსუ რექტორმა.

**„ფილმის ერთ-ერთი მიზანია პოპულარიზაცია გავუწიოთ აფხაზურ ეთნოკულტურულ სივრცეს, შევისწავლოთ ის და მივეხმაროთ განვითარებაში. ალბათ, მოგვეცემა საშუალება შევქმნათ აფხაზური ენციკლოპედია. ეს ჩვენი სახელმწიფო ვალია, ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელსაც სახელმწიფო ვალდებულება გააჩნია აფხაზური ეთნოსის და კულტურის მიმართ,“** — აღნიშნა თსუ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა **ზურაბ შენგელიამ.**

„ანიხა“ 2019 წლის იანვარში აფხაზეთშია გადაღებული. მასში ასახულია ახალი წლის აღნიშვნის აფხაზური ადათ-წესები და აღწერილია აფხაზეთის წმინდა სალოცავი ადგილები.

# „ყველაზე ძლიერი გონებაც კი შეიძლება რომ ერთხელ შეცდეს“



## ასე ამბობდა შერლოკ ჰოლმსი

ქართულად გადმოაქვანა გურამ გოგიაშვილმა

## შერლოკ ჰოლმსი ადამიანის ბუნებასა და თავისი ხასიათის თვისებებზე

ჟან-პოლმა როგორღაც ძალიან გულხმიერად და საფუძვლიანად შენიშნა, ადამიანის ჭეშმარიტი სიდიადე საკუთარი არარაობის გაგებაშიაო. ეს იმას გულისხმობს, რომ საკუთარი თავის შედარებისა და შეფასების უნარი შინაგანი კეთილშობილების დასტურია.

* * *

ღმერთმანი, უცნაური ორგანიზმი მაქვს. ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ სამუშაოს დავექანცე. სამაგიეროდ, უსაქმურობა მასავათებს.

* * *

მე თვით თამაშის გულისთვის ვთამაშობ.

* * *

ეჰ, არაერთი ბოროტებაა დედამიწის ზურგზე და ყოვლის უარესი ის არის, როცა ბოროტს რასმე გონიერი ადამიანი სჩადის.

* * *

საგანთ მნიშვნელოვნად მეტის მოყოლა შეუძლიათ ადამიანებზე, ვიდრე ადამიანებს – საგნებზე.

* * *

ყველაზე მთავარი ის არის, რომ უბრალო ადამიანებთან ურთიერთობისას არ აგრძნობინო, რაღაცის გაგება რომ გინდა იმათგან, როგორც კი ამას მიგიხვდებიან, ეგრევე ხამანწკასავით ჩაკეტავენ საგდულთ,ხოლო თუ სახეარეული მოუსმენ და არაჯეროვნად, აცაბაცად ჰკითხავ რასმე, რაც რამ გინდა, ყველაფერს გაიგებ იმათგან.

* * *

სულის სიღრმეში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ წარვემატებოდი, სადაც სხვები მარცხდებოდნენ.

* * *

ძაღლებში თითქოსდა ასარკულია ის სულისკვეთება, ოჯახში რომ სუფევს. ავ ადამიანთ ავი ძაღლები ჰყავთ, თუ თავჯალაბი საშიში კაცია, საშიშია ნაგაზიც. ის კი არა, ძაღლების გუნება-განწყობილების ცვლამ შეიძლება რომ ადამიანების გუნება-განწყობილების ცვლა აირეკლოს.

* * *

სადაც წარმოსახვას საკვები არა აქვს, იქ არც შიშია.

* * *

როგორც კი საგვარეულო პორტრეტების შესწავლას დაიწყებ, ეგრევე ირწმუნებ სულების გადასახლებას.

* * *

გრიყვი გრიყვს მუდმივ აღაფრთოვანებს.

* * *

ამქვეყნად მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი გაქვს მოხელსაქმებული. ყოვლის უფრო მთავარი ის არის – დაარწმუნო ადამიანები, რომ ბევრი რამ მოიხელსაქმე.

* * *

თუ მეზობლად შენსავით მდგმური გყავს ბინაში, რასაკვირველია, აჯობებს, რომ ის წყნარი და თავისი საქმით დაკავებული კაცი იყვეს.

* * *

ჭეშმარიტი სიდიადე საკუთარი არარაობის გაგებიდან იწყება.

* * *

თუ კაცი არც ღვინოა, არც წყალი, იმას თავის თავზე მეტი არცრა და არცვინ ჰგონია, ნიჭიერი კი ეგრევე პირველი დანახვისთანავე გამოარჩევს გენიოსს.

* * *

VESTIGANULLA RETRORSUM (არც ერთი ნაბიჯი უკან! – ლათ.) ერთი რამ წესად გაიხადე: არცროდის უკან არ გაიხედო, მუდამ მხოლოდ წინ იყურე, სადაც საგმირო საქმე გელოდება.

* * *

სანამ ჯერ კიდევ ერთად არ დავბინავებულვართ, კარგი იქნება, თუ ერთმანეთზე ცუდს გავიგებთ.

* * *

რაც ერთი კაცის მიერ არის გამოგონებული, შეიძლება, რომ მეორის გამოგონებად შეირაცხოს.

* * *

კაცი, რომელსაც ხელოვნება ხელოვნების გულისთვის უყვარს, ყოვლის უფრო დიდ კმაყოფილებას ხშირად ამ ხელოვნების მნიშვნელოვან და მკაფიო გამოვლინებებში ნახულობს.

* * *

ადამიანი თავად არის თავისი სახელ-დიდების შემოქმედი.

* * *

ცალკეული ადამიანი გამოუცნობელი გამოცანაა, სამაგიეროდ, ერთობლიობაში ადამიანები ერთგვარ მათემატიკურ ერთობას წარმოადგენენ და განსაზღვრულ კანონთ ემორჩილებიან.

* * *

შეფასების, შედარების უნარი უკვე თავისთავად სულის კეთილშობილებაზე ლაპარაკობს.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №95, 97-103

თქვენ საოცრად სასიამოვნო ადამიანი ბრძანდებით. აქედან რომ გახვალთ, კარი გაიხურეთ, თორემ საშინელი ორპირია.

* * *

ხან ყველას გვჭირდება დახმარება, ხელისაპყრობა.

* * *

– თქვენთან რჩევისთვის მოვედი.
– ეგ ადვილი საქმეა.
– დახმარებისთვისაც.
– ეგ ყოველთვის ადვილი არ არის.

* * *

იმათზე უფრო აუტანელ სულელთ ვერ მოიძიებ, ვიდრე ისინი არიან, ჭკუა ჯერ სულ მთლად რომ არ დაუკარგავთ.

* * *

ხან ვფიქრობ, რომ კაცობრიობას მხოლოდ თავის თავზე შემზარავი წარმოდგენის გამო ეჩვენება – თითქოსდა სამყარო მარტოოდენ ფიცარნაგია იმისი ამპარტავნების გულისთვის გამართული.

* * *

და თანაც, მისტერ ჰოლმს, მე ისეთივე სათნოიანი ვარ, როგორიც თქვენი დიასახლისია – სხვის საქმეში ცხვირს არ ვყოფ.

* * *

შიმშილი მამაკაცურ სოლიდარობაზე ძლიერია.

* * *

არცთუ ნიჭიერ ადამიანებს სხვათა ნიჭიერების წახალისების უნარი აქვთ.

* * *

იქნებ ყველაზე ნათელი თავი არა ხარ, მაგრამ, სამაგიეროდ, სინათლის უბადლო გამტარი ხარ.

* * *

სუყოველი კრთება, როცა პირველად მოხუცს დაუძახებენ სერიოზულად.

* * *

გადასახადი ის ფასია, ჩვენ რომ ვიხდით ცივილიზებულ საზოგადოებაში ცხოვრების შესაძლებლობისთვის.

* * *

იმის საუკეთესო ხერხი, რომ საქმის არსამდე მივიდეთ, ვიღაც სხვისთვის ამ საქმის სუყოველი ვითარების მოყოლაა.

* * *

გახსოვდეს, რომ ერთი მცირე გამონაკლისის უკან ქვეყანა სხვათაგან შედგება.

* * *

ჩემი მეგობრის ჰოლმსის ხასიათში ხშირად ერთი უცნაური თვისება მაკვირვებდა: თუმცა თავის გონებრივ სამუშაოში უზუსტესი და უწესიერესი იყო, ჩაცმითაც მუდამ არამარტო სალუჩად ეცვა, არამედ სხვათაგან გამორჩეულადაც, ხოლო სუყოველ დანარჩენ ამბავში ყველაზე უფრო უწესრიგო არსება იყო ამქვეყნად, და იმის ჩვეულებებს, რომელიც გნებავთ, ადამიანის ჭკუიდან გადაყვანა შეეძლო, ვინც კი იმასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა.

* * *

იმისთვის, რომ კაცობრიობა გაიცნო, ადამიანი უნდა შეისწავლო.

* * *

არა, არ ვამბობ, ის ცუდი კაცია-მეთქი. ცოტა შერეკილი კია, ვერ წაართმევ, მეცნიერების ზოგიერთი დარგის ენთუზიასტია... მეცნიერებას სრულიად უსისტემოდ და რაღაც უცნაურად მისდევს, მაგრამ კარგა ბლომად ცოდნა დააგროვა, იქნებ საქმისთვის არცაა საჭირო, თუმცა იმისთვის საკმარისზე მეტია, რომ პროფესორები გაესახტებინა და განეცვიფრებინა.

* * *

არც ერთი სიკვდილის შვილი დაზღვეული არ არის შეცდომათაგან, მაგრამ პატივისცემას ის იმსახურებს, ვინც დროულად შეიგნებს და გამოასწორებს იმ შეცდომებს. მგონი, მე ამგვარ ადამიანთათვის ჩემი თავის მითვლის უფლება მაქვს.

* * *

მოწინააღმდეგესთან ბრძოლის სუყოველ სახეობას ხელჩართული შებმა მირჩევნია. მტერს პირისპირ რომ შეხვდები, ეგრევე იგრძნობ, რა ცომისგანაც არის გამომცხვარი.

* * *

ჩემი მეგობრის ამტანი ორგანიზმი და მტკიცე ხასიათი ნამდვილ სასწაულთ ახდენდნენ.

* * *

ადამიანს, რომელიც მუდმივად რასმე შეუპოვრად ესწრაფვის, რომლის აზრიც ნიადაგ ერთი საქმით არის შეპყრობილი, სურვილი კი დაჟინებით მიმართულია იქით, რომ ეს საქმე წარმატებით მოვიდეს დამში, ყოველივე ხელს უწყობს ამისთვის. გინდ ჰიპნოზი უწოდეთ ამ ამბავს, გინდ უდრეკი ნებისყოფის ძალა, მაგრამ ეს ასეა!

* * *

ამ ნებისყოფას ყოველი მხრიდან შეუძლია რკინისა და ფოლადის მიზიდვა. ის აიძულებს ყოველგვარ წვრილმანს, ყოველგვარ უმნიშვნელო გარემოებას იმ კიბის ცნობილ საფეხურებად დაწყობას, რომელმა კიბემაც დანაშაულის გახსნამდე უნდა მიგვიყვანოს.

* * *

დღეს ღამით მე და შენ ისეთი სამუშაო მოგველის, რომლის ბოლომდე წარმატებით მიყვანა ადამიანს თამამად ათქმევინებს, ამქვეყნად ცუდუბრალოდ არ მიცხოვრიაო.

* * *

სახის წუთიერი გამომეტყველებისდა მიხედვით, რომელიმე კუნთის თავისუფალი მოძრაობის ანდა გამოხედვისდა მიხედვით შესაძლებელია თანამოსაუბრის ყოვლის უფრო იდუმალი ამა თუ იმ აზრის გამოცნობა.

* * *

ვისაც დაკვირვება და გაანალიზება შეუძლია, იმ ადამიანის მოტყუება უბრალოდ შეუძლებელია.

**(გაგრძელება იქნება)**



# 26 მაისი

(მესამე გვერდიდან) როგორც ცნობილია, თურქებმა დიდი საქმე გაუკეთეს რუსებს. ამ ქვეყნის ჯარებმა არ დაუშვეს ანტანტის ჩანაფიქრის განხორციელება, რაც ითვალისწინებდა თურქეთის თავის გავლენის სფეროში მოქცევას. ამგვარი მდგომარეობა რუსეთს საშუალებას არ მისცემდა, დაეპყრო ამიერკავკასია და შუა აზიის ქვეყნები. ამიტომაც იყო, რომ რუსეთი ყოველმხრივ დახმარებას უწევდა თურქეთს. მეტიც, ჰპირდებოდა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიის ნაწილების მისთვის გადაცემას. რუსეთმა პირობა „პირნათლად" შეასრულა —ართვინის, არდაგანისა და ოლთისის შემოგარენი თურქეთს გადასცა, ხოლო ბათუმის ოლქი — ნურას უკაცრავადო... ამიტომ იყო ზემოხსენებულმა გაერთიანებულმა ჯარებმა თურქები ბათუმიდან რომ განდევნეს.

შეიძლება ითქვას, რუსეთი თავს რომ არ დასხმოდა საქართველოს, თურქეთი ხელს არ ახლებდა ტაო-კლარჯეთის ხსენებულ რეგიონებს. რაკი საქართველო თურქეთისთვის ბუფერული სახელმწიფო აღარ იყო, იგი შეეცადა, რუსეთისთვის რაც შეიძლება მეტი ტერიტორია წაერთმია.

თურქეთის მაშინდელი მთავრობა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე ასე იმართლებდა თავს — **ჩვენ საქართველოს ტერიტორია კი არ მივითვისეთ, არამედ რუსეთს არ მივეცით საშუალება, სამხრეთით კიდევ უფრო გაფართოებულიყოო.**

თუ ანტანტა თურქეთს მოიქცევდა თავის გავლენის სფეროში, ამგვარი ვითარება იდეალური იქნებოდა, უპირველესად, თვით თურქეთისთვის, რომ არაფერი ითქვას, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებზე.

საქართველოსთვის რუსეთი დაუნდობელი მტერი იყო, ხოლო იმდროისთვის თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა — მეგობრული. ამავე დროს, გარკვეულ სიტუაციაში — მტრული; საქართველოსა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ იყო ვითარება, როდესაც ისინი დაპირისპირებული აღმოჩნდნენ. მცირე ხნით, როგორც აღვნიშნეთ, ბათუმის შესანარჩუნებლად რუსეთი და საქართველო ერთად იბრძოდნენ. ამ რთულ ვითარებაში გარკვევა და სწორი დასკვნის გამოტანა შეუძლია მხოლოდ ინტეგრალური პოლიტიკის ღრმად მცოდნე ადამიანს.

როგორ შეფასდება ჟორდანიას მთავრობის პოლიტიკური ნაბიჯები? — რასაკვირველია, მართებულად, თუ ასეა, მაშინ რატომ აღმოჩნდა ის დამარცხებული? საქართველო ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის იყო მოქცეული. კრავი, რომელიც დათვსა და მგელს შორის იმყოფება, ბუნებრივია, ერთის ან მეორის მსხვერპლი გახდება. მსუბუქი წონის მოკრივე, რაც უნდა ტექნიკის მქონე იყოს, მაინც დამარცხდება მძიმეწონოსან მოკრივესთან.

ზოგი აცხადებს, რომ საქართველოს შეეძლო წითელი არმიის დამარცხება, როგორც ცნობილია, იმ დროს საქართველოში შემოვიდნენ მე-8, მე-9, მე-13 არმიის შენაერთები, ბუდიონისა და ჟლობას კავალერიის ნაწილები (თითოეული 5000 კავალერისტს მოითვლიდა), ჰეკერის მე-11 არმია, რომელიც დისლოცირებული იყო აზერბაიჯანსა და სომხეთის ტერიტორიაზე (42 ათასი სამხედრო).




რისთვის დასჭირდა ლენინს ესოდენ მნიშვნელოვანი ძალების გამოგზავნა საქართველოში? — მას სურდა, რაც შეიძლება მალე დაეპყრო საქართველო, რათა ამ ვანდალიზმს საყოველთაო გამოხმაურება არ მოჰყოლოდა. ლენინი ფიქრობდა, რომ საქართველო უბრძოლველად დანებდებოდა რუსეთს და მსხვერპლიც აღარ იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა — ქართულმა ჯარმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტერს.

უცხოეთის თვალსაჩინო ექსპერტები ასე აფასებენ იმდროინდელ ქართულ ჯარს — **საქართველოს უმაღლესი ოფიცრობა სათანადო სიმაღლეზე იდგა, ხოლო რიგითი შემადგენლობა სუსტად გამოიყურებოდაო.** ბუნებრივია, ახლად შექმნილმა ჯარმა ვერ მოასწრო სათანადო წრთვნის მიღება; მიწას მოწყვეტილი გლეხი, რა თქმა უნდა, ვერ ავლენდა საბრძოლო უნარ-ჩვევებს. საბრძოლო სულისკვეთებითაც ჩამორჩებოდა წითელი არმიის სულისკვეთებას. იგი გამობრძმედილი იყო სამოქალაქო ომში, ინტერვენტებთან ბრძოლაში. ქართულ ჯარში რაღაც ნაწილი, მაგრამ გასათვალისწინებელი, ბოლშევიკური განწყობისა იყო.

ფსიქოლოგები დამეთანხმებიან იმაში, რომ რაც უფრო ძლიერია, დიდია ქვეყანა, მისი ჯარისკაცის საბრძოლო სულისკვეთება მეტია. ამის დამტკიცების არგუმენტი შეიძლება ეძიოთ ადამიანის ქვეცნობიერში. აქ, სასოწარკვთილი და განწირული ადამიანის გამბედაობაზე არ არის ლაპარაკი. შემომეპასუხებიან: იაპონელი ჯარისკაცის საბრძოლო სულისკვეთებაზე რას იტყვითო? იმას ვიტყვი, რომ იაპონია მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოა და შესაბამისად იაპონელები ომში თავგანწირვით იბრძვიან.

თავი დავანებოთ იმის მტკიცებას, თითქოს ერთი ქართველი ათ მომხდურს უმკლავდებოდა. კი ბატონო, დაგეთანხმებით, მაგრამ ჯერ ჩაბრძანდით სტამბოლში, ლონდონში, პარიზში, ნიუ-იორკსა და სხვა დედაქალაქებში, შეისწავლეთ იქაური მამაკაცების ფიზიკური აღნაგობა და სულიერი მდგომარეობა. შეადარეთ ქართველი მამაკაცის შესაბამის მონაცემებს და ამის შემდეგ კვლავ თუ იმას იტყვით, რომ ქართველს, როგორც წესი, შეუძლია სხვა ერის ათი წარმომადგენლის დაჯაბნვა, მაშინ თქვენ წინაშე ბოდიშს მოვიხდი.

თვითმხილველები მოგვითხრობენ, რომ წითელ არმიასა და ქართულ ჯარს შორის განსხვავება ვიზუალურადაც შეიმჩნეოდა წითელი არმიის უპირატესობით. კუთხურობის სენით დაავადებული ინდივიდები კი გაიძახიან: ჟორდანიას მთავრობა დაფეხვილი წითელი არმიის შემოტევებს ვერ გაუმკლავდაო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟორდანიას მთავრობა იმ დროისთვის უამრავ საერთაშორისო მოლაპარაკებაში იღებდა მონაწილეობას და მოზღვავებულ პრობლემებს ღირსეულადართმევდა თავს, ყველა აგრესია მოიგერია, მაგრამ ვეებერთელა რუსეთის შემოტევას ვერ გაუძლო.

არასწორია ბატონი დავით თარხან-მოურავის „მოსაზრება", თითქოს თურქეთმა საქართველოს ტერიტორიის 30 პროცენტი მიითვისა, ხოლო რუსეთმა — 20 პროცენტი. სინამდვილეში რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის 30 პროცენტი თურქეთს აჩუქა, შემდგომში კი, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთმა საქართველოს თვითონ წაგლიჯა ტერიტორიის 20 პროცენტი.

* * *

**ჟორდანიას მთავრობის შორსმჭვრეტელობასაც ხაზი უნდა გაესვას. მან ხელი მოაწერა ბრძოლის შეწყვეტას და არა კაპიტულაციას, რაც მას საშუალებას აძლევდა, საზღვარგარეთაც (როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას) ეფუნქციონერა. ვიტყოდი, საქართველოსთვის ბევრი კარგი საქმე გააკეთა.**

აღსანიშნავია ისიც, რომ 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გაიმართა სამშვიდობო მოლაპარაკება ზავის შესახებ, სადაც მონაწილეობდნენ — გერმანია, რუსეთი, ავსტრია-უგრეთი და თურქეთი, ამ სახელმწიფოებმა თურქეთ-საქართველოს მიმართებაში ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს — ადგილობრივ მუსლიმანურ მოსახლეობაში (მხედველობაში ჰქონდათ ტაო-კლარჯეთი) ჩაეტარებინათ რეფერენდუმი, თუ ვისთან მიერთება სურდა ზემოთ აღნიშნულ მოსახლეობას. რეფერენდუმი თურქეთის სასარგებლოდ დამთავრდა. ამაზე არ დათანხმდა ჟორდანიას მთავრობა და მოითხოვა ხელახალი რეფერენდუმის ჩატარება. წარმოიდგინეთ (!) მას იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა მსოფლიოს მასშტაბით, რომ განმეორებით ჩატარდა რეფერენდუმი. მოტივი — თურქი აგიტატორები უხეშად ერეოდნენ ხსენებული რეფერენდუმის ჩატარებაში. მეორე რაუნდი საქართველოს სასარგებლოდ დამთავრდა, იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობა ადგილობრივ მუსლიმანურ მოსახლეობას ავტონომიურ მმართველობას შეჰპირდა. ამ გამარჯვებაში მთავარი როლი იმან შეასრულა, რომ ხსენებული ტერიტორია ქართველი მუსლიმანებით იყო დასახლებული.

საქართველოს ხელისუფლებამ პირობა პირნათლად შეასრულა და ჩამოაყალიბა ბათომის ოლქი ავტონომიური მმართველობით. აი, მოკლე მიმოხილვა იმჟამინდელი მოვლენების გარკვეული ნაწილისა.

მიუხედავად ამისა, წინამდებარე სტატია, ვფიქრობ, მკითხველში ინტერეს აღძრავს და 1918-21 წლების მთავრობის მოღვაწეობას სათანადოდ შეაფასებს. რატომღაც წინა ხელისუფლებანი, ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან თარიღს მოკრძალებით აღნიშნავდნენ, მოიხსენიებდნენ მხოლოდ მედდას მარო მაყაშვილს და იუნკრებს. ამით მთავრდებოდა ყველაფერი.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება გვპირდება, რომ 26 მაისს ღირსეულად აღნიშნავს და ყველას, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იღვაწა, შესატყვისად დააფასებს. ვნახოთ, ეს საზეიმო დღეც მალე გაგვითენდება.

**ვაჟა ჟღენტი,**
**საბჭოთა პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე.**

## ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი გადადგა

**„მას შემდეგ, რაც ამ კარში პრემიერ-მინისტრის როლში შევაბიჯე, მე ვოცნებობდი, რომ დიდი ბრიტანეთი გამხდარიყო ქვეყანა, რომელიც ყველასი იქნებოდა... მე, როგორც კონსერვატიული პარტიის ლიდერი, თანამდებობას დავტოვებ 7 ივნისს. ეს საკითხი პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებული მაქვს. ახალი ლიდერის არჩევის პროცესი მომდევნო კვირაში დაიწყება", — განაცხადა მეიმ. დოუნინგ სტრიტზე, მეიმ ემოციურ გამოსვლაში აღნიშნა, რომ ეცადა, რეფერენდუმის შედეგები პირნათლადად აღესრულებინა და „ამისთვის არაფერი დაუკლია".**



**ტერეზა მეი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს 2016 წლის 13 ივლისიდან დღემდე იკავედა.სამწლიანი მმართველობის განმავლობაში, იგი ცდილობდა, განეხორციელებინა დიდ ბრიტანეთში 2016 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები, თუმცა წარუმატებლად. პარლამენტარებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას და შედეგად ევროკავშირიდან გასვლის შეთანხმება რამდენჯერმე ჩავარდა.**

## „ტერმინატორი" ბრუნდება

**ახალ „ტერმინატორში" მთავარ როლებს კვლავ არნოლდ შვარცენეგერი და ლინდა ჰამილტონი ასრულებენ. ტერმინატორის რიგით მეექვსე ფილმის რეჟისორი ტიმ მიულერია, სცენარი კი ჯეიმს კამერონს ეკუთვნის, ფილმი პირდაპირი გაგრძელებაა ჯეიმს კამერონის მიერ გადაღებული პირველი და მეორე ნაწილებისა. „ტერმინატორი" ქვესათაურით** Dark Fate, **მსოფლიო ეკრანებზე 1 ნოემბრიდან გამოვა.**




## კინგსტონის უნივერსიტეტში მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბი აღმოაჩინეს

**ლონდონში, კინგსტონის უნივერსიტეტში, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბის აღმოჩენის გამო, ევაკუაცია განხორციელდა. ბომბის აღმოჩენის შემდეგ, სტუდენტთა დასახლება, სადაც 1 500 საცხოვრებელი სახლი და შენობაა განლაგებული, სამართალდამცველებმა დაიკავეს. პოლიციას დახმარებას ქვეყნის თავდაცვის სამინისტროც უწევს.**

**ბომბის აღმოჩენის გამო დაიხურა ევროპარლამენტის არჩევნებისთვის განკუთვნილი ორი საარჩევნო უბანიც.**

**მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბის გაუვნებელყოფას სპეციალისტები მთელი ღამის განმავლობაში ცდილობდნენ, რის გამოც, სამი ათასამდე მოსახლეს ღამის გათევა ღია ცის ქვეშ მოუხდა.**

## ევერესტზე ორი ალპინისტი დაიღუპა

**გამოცემა „ჰიმალაიან თაიმსის" ცნობით, ავსტრიელი და ინდოელი მთამსვლელები მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრის შემდეგ, ბანაკში დაბრუნების დროს დაიღუპნენ. მათი გარდაცვალების მიზეზი ჯერ უცნობია. როგორც გამოცემა იუწყება, 22 მაისი ევერესტის ისტორიაში ყველაზე გადატვირთული დღე აღმოჩნდა. ექსპედიციისთვის ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო მწვერვალი 200-დან 300-მდე მთამსვლელმა დალაშქრა. გამოცემის ცნობით, უმაღლეს მწვერვალზე ფეხის დადგმის მსურველების რიგიც კი გაჩნდა. 2019 წლის სეზონზე ზღვის დონიდან 8848 მეტრის სიმაღლის მწვერვალის დალაშქვრის დროს სულ 16 ადამიანი დაიღუპა.**

## ხმელთაშუა ზღვაში 290 მიგრანტი გადაარჩინეს

**ლიბიელი მიგრანტები გასაბერი ნავების საშუალებით აფრიკიდან ევროპის კონტინენტზე მოხვედრას ცდილობდნენ. ხომალდებმა, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაში არალეგალური მიგრაციის აღმოსაფხვრელად პატრულირებენ, 87 მათგანი ქარაბულისთან ახლოს, 203 კი ზლიტინის სიახლოვეს აღმოაჩინეს. მათ შორის შვიდი ქალი და ერთი ბავშვია.**



◎ წინ, საქართველოვ!

# ხეცურიანის მე-16 „ოქრო“



**სან პაულუმ ამ დღეებში ეტლით ფარიკაობაში 2019 წლის მსოფლიო თასის მორიგ გათამაშებას უმასპინძლა.**

საქართველოს ნაკრები მთავარ მწვრთნელ მალხაზ მესხის თავკაცობით ბრაზილიაში სამი სპორტსმენის შემადგენლობით გაემგზავრა – მედლებისთვის ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი იბრძოდნენ.

ხეცურიანმა ხმლით ფარიკაობის „ბ“ კატეგორიაში პირველობა ამჯერადაც არავის დაუთმო და მსოფლიო თასის გამარჯვებული მე-16-ედ(!) გახდა. ფინალში მან ძალიან ძლიერი ტაილანდელი მეტოქე დაამარცხა. „ა“ კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი ნინა თიბილაშვილმა მოიპოვა.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ ხელბურთი

# უძლეველი ზღვისპირელები

**თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ხელბურთელ ქალ-ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატების ფინალური ორთაბრძოლები. მანდილოსანთა გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შარშანდელი გამარჯვებული თბილისის „ქარიშხალა“ და ბრინჯაოს პრიზიორი ფოთის „ოქროს ვერძი“ დაუპირისპირდნენ. თავიდან დედაქალაქელები დაწინაურდნენ, მაგრამ ტაიმის მიწურულიდან უპირატესობა ხელთ იგდეს ზღვისპირელებმა, საბოლოოდ 32:25 გაიმარჯვეს და ჩემპიონობა პირველად მოიპოვეს. წინა წლებში ოქროს მედლები „პეგასმა“ (2016), „ყვარელმა“ (2017) და „ქარიშხალამ“ (2018) დაისაკუთრეს. მესამე ადგილისთვის პაექრობაში „ყვარელმა“ „სამტრედიას“ 30:25 აჯობა.**



ფოთი – ქარიშხალა 32:25

**ფოთი:** ჯავახია, ფიფია, ჯგერენაია – 16, სურგულაძე – 6, გოგია – 5, ბჟალავა – 2, გვათუა – 2, რურუა – 1, კუპრიევა, კობახია, ბაირამიდი, **მწვრთნელები** – ჟვანია, გეფერიძე, ჭანტურია.

**ქარიშხალა:** არაბაჯევი, ა. ჩხაიძე – 7, მ. ცინცაძე – 6, ი. ჩხაიძე – 5, ქ. ცინცაძე – 4, ციცქიშვილი – 3, ხმელაძე, კირვალიძე, ჩხეტიანი, თათარაშვილი, ბიძინაშვილი, კაკაბაძე, კვეკვესკირი, რაზმაძე, ქარჩავა, დაღოძე, **მწვრთნელი** – ციცქიშვილი.

**მსაჯები**: გ. გველესიანი – ი. ჭკუასელი.

**2019 წელი** (8): 1. „ოქროს ვერძი“ (ფოთი), 2. „ქარიშხალა“, 3. „ყვარელი“.

ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალში ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ და თბილისის „პეგასი“ არკვევდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას. მათ შორის წლევანდელ შეხვედრათა ბალანსში თანაბარი (2:2) იყო. ამჯერად ზღვისპირელთა ყველაზე გამოცდილმა და დაბალანსებულმა გუნდმა ათბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა და ტიტული მესამედ (2016, 2018, 2019) დაიმსახურა. მესამე ადგილისთვის მატჩი თელავის სტუ-„იმედმა“ „ქუთაისს“ 31:30 მოუგო.

ბათუმი – პეგასი 35:25

**ბათუმი:** ტორონჯაძე, ხანდოლიშვილი, ვარშალომიძე, გოგოლაძე – 8, სიმონია – 6, მსხვილიძე – 5, კოხრეიძე – 4, ტალახაძე – 4, აბრამიშვილი – 4, სურმავა – 3, თევზაძე – 1, ბერძენიშვილი, ტიელიძე, წივწივაძე, მჟავანაძე, სტოლბოვი, **მწვრთნელები** – ჭანტურია, მჟავანაძე.

**პეგასი:** დიხამინჯია, გორგოძიანი, კალანდაძე – 12, ზარნაძე – 7, ჟვანია – 2, გრიშიკაშვილი – 1, კუხალაშვილი – 1, ქათამაძე – 1, შუბითიძე – 1, ბაძაღუა, გვაზავა, ლაპიაშვილი, პატაშური, კობახიძე, კოხრეიძე, **მწვრთნელები** – კალანდაძე, სახვაძე.

**მსაჯები**: რ. ლოშაკი - ა. შაიბაკოვი (უკრაინა).

**2019 (8) წელი:** 1. „შავი ზღვის ბიჭები“ (ბათუმი), 2. „პეგასი“, 3. სტუ-„იმედი“ (თელავი).

ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდებიდან სხვადასხვა ასაკის ნაკრების წევრები ახლა საერთაშორისო პაექრობებისთვის მოემზადებიან: 8-16 ივნისს თბილისის სპორტის სასახლე ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ერთა ჩემპიონატს უმასპინძლებს 12 გუნდის მონაწილეობით, 13-21 ივლისს ჩვენი 19-წლამდელ გოგონათა ნაკრები კლაიპედაში (ლიეტუვა) თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში ითამაშებს, ხოლო 3-10 აგვისტოს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში 17-წლამდელ გოგონათა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.



**ლექსო ცინცაძე**

◎ მაშველი რგოლი

# გასხვისება – 49 წლით

**ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, ბათუმის „დინამო“ სხვისდება. პროცედურულად კლუბს ჯერ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გადასცემენ, რომელიც თავის მხრივ 49-წლიანი იჯარით „დინამოს“ კომპანია „lamin G“-ზე გაასხვისებს.**

ინტერნეტში არსებული ინფორმაციით, სამშენებლო კომპანია „Lamin G“ და მისი შვილობილი კომპანიები არჩილ ბერიძეს ეკუთვნის. რომელიც ბათუმის სამშენებლო ბაზარზე 2012 წელს გამოჩნდა.

გასხვისების პირობები შემდეგია: კლუბის 100% წილის მართვის გადაცემის სანაცვლოდ არჩილ ბერიძემ ყოველწლიურად 100 000 ლარი უნდა გადაიხადოს. ასევე, ვალდებულება ეკისრება უზრუნველყოს კლუბის ბავშვთა ფეხბურთის განვითარება (ბაზა, შესაბამისი პირობები).

სარგებლობის პერიოდის განმავლობაში მანვე უნდა უზრუნველყოს კლუბში ყოველწლიურად არანაკლებ 500 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება, შეინარჩუნოს საბავშვო აკადემია და თავი მოაბას მისი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, უეფას ან ფიფას სტანდარტებით ფუნქციონირებას.



ბათუმის „დინამოს“ კერძო მფლობელებზე გადაცემის საკითხი აქტუალური 2017 წელს გახდა, როდესაც იგი ზედიზედ აგებდა თამაშებს და ეროვნული ლიგიდან გავარდა.

კლუბის ხელმძღვანელებმა, ფეხბურთის გულშემატკივრებმა და მერიის წარმომადგენლებმა მაშინ ღიად პირველად თქვეს, რომ გუნდი უნდა გასხვისდეს.

ჯერ კიდევ ახალმა მერმა ლაშა კომახიძემ ეს წინადადება მისაღებად მიიჩნია და თქვა, რომ მერია მზად არის 100% წილი გადასცეს დაინტერესებულ პირებს.

მალევე გამოჩნდნენ ბათუმის „დინამოს“ შესყიდვის მსურველები. მერიაში ორმა პრეტენდენტმა შეიტანა განაცხადი და ერთ-ერთი მათგანი სწორედ არჩილ ბერიძე იყო.

მიუხედავად გამოთქმული მზაობისა, ორი წლის განმავლობაში „დინამოს“ გასხვისებაზე ღია საუბარი შეწყდა, არჩილ ბერიძე კი ამ პერიოდში გუნდს სპონსორობას უწევდა.

მას შემდეგ, რაც წელს ბათუმის „დინამო“ ეროვნულ ლიგაში დაბრუნდა და ლიდერთა შორისაა, მისი გასხვისების შესახებ საკრებულოში საკითხი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა ნოდარ დუმბაძემ დასვა. მან თქვა, რომ „ან მივცეთ ამ ადამიანს (გულისხმობდა ბიზნესმენ არჩილ ბერიძეს) გუნდი, ან შევარჩიოთ უკეთესი, რადგან ამ დრომდე კლუბის გასხვისების საკითხი შეჩერებულია“.

ბათუმის „დინამო“რომ უნდა გაიყიდოს, ამაზე განცხადებები ბოლო ერთი თვის განმავლობაში გააქტიურდა. პრაქტიკულად ყველა მხარე – ქალაქის მერია, „დინამოს“ ადმინისტრაცია და გულშემატკივრები აცხადებენ, რომ გუნდის კერძო ინვესტორზე გადაცემა აუცილებელი და სავალდებულოა.

1923 წელს დაარსებული კლუბი კერძო მფლობელის ხელში, სავარაუდოდ, დღესვე გადავა.

**გიორგი შოთაძე**

◎ ოკეანის გაღმა

# ნიჭი, ძამიკო, ნიჭი...

**19 წლის ქართველი ტალანტი გოგა ბითაძე აშშ-ში იმყოფება და NBA-ს მოახლოებული დრაფტისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ იგი 20 ივნისსაა დაგეგმილი. ამდენად, მომავალ ვარსკვლავებზე დაკვირვება ინტენსიურად მიმდინარეობს.**



ბითაძე ნიუ იორკში ჩავიდა და საჩვენებელ წვრთნებში მიიღო მონაწილეობა, სადაც მის გარჯას სკაუტების მთელი არმია ადევნებდა თვალს. სასიხარულოა, რომ ბოლო პერიოდში გოგას აქციები სულ უფრო მაღლა იწევს და უკვე გადაწყვეტილია, რომ მას მინიმუმ მოწინავე ოცეულში აირჩევენ.

დავძენთ, რომ 20 ივნისის დრაფტი სწორედ ნიუ იორკში, კერძოდ კი ბრუკლინის „ბარკლაი სენთერში“ შედგება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ სუმო

# ესლა გვაკლდა!



**ნაცუ ბაშოს მე-13 საშეჯიბრო დღე ტოჩინოშინისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან ქართველი სუმოისტი წლის მესამე სუპერტურნირის ლიდერ ასანოიამას ხვდებოდა. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად წარიმართა, თუმცა... ვინ იცის, იქნებ ჩემპიონობაც კი დააკარგვინეს ჩვენებურს.**

ორთაბრძოლა ტოჩინოშინმა აგრესიულად დაიწყო და მეტოქე დოჰიოდან გადაიყვანა, მაგრამ საქმეში მსაჯები ჩაერთვნენ, რომლებმაც გამარჯვება იაპონელს მიაკუთვნეს. ამ გადაწყვეტილებამ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა.

ეს აღნიშნული წყვილის მეორე დაპირისპირება იყო და მათი ბალანსი გათანაბრდა – 1 მოგება 1 წაგების საპირისპიროდ.

ტოჩინოშინს 9 მოგების წილ 4 მარცხი აქვს და კვლავ იბრძვის ოძეკის ტიტულის დასაბრუნებლად, რომელიც დღეს უკვე მოპოვებული უნდა ჰქონოდა, რომ არა გიოჯის არასწორი ვერდიქტი.

გორგაძის დღევანდელი მეტოქე იოკოძუნა კაკურიუ იქნება, რომელთანაც აქამდე 26-დან მხოლოდ 3 ორთაბრძოლა დაასრულა მოგებით, დანარჩენ 23 შეხვედრაში კი დამარცხდა.

ასანოიამას 11 მოგებასთან ერთად 2 მარცხი აქვს და ჩემპიონობისკენ მიიწევს. მისი მომდევნო მეტოქე ოძეკი გოეიდო იქნება, რომელსაც 9:4 ბალანსი მოუგროვდა.

**კობა კობახიძე**

# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №1** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. დურაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჩოლშურას ლოდნარის (ზედაპირული აკრეფვა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის (სხვა საშენი მასალა) ჯამური მოცულობა - 9 148 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. დურაშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2082 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 208.2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1241 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 27 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 25 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 25 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 25 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №2** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ობიექტის მთელ ფართობზე, წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ზ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია, „ყვირილას“ ქვიშა-ხრეშის საბადო (უბანი ლუხუთა II), კატეგორია - $C_1$+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - |

| | | |
|---|---|---|
| | | 526 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 352 781 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 35 278.1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 35 478 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 27 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 25 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 25 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 25 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; |
| | ობიექტით სარგებლობისათვის | ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი |
| | | მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯოყოეთის მიმდებარე ტერიტორია, „ჯოყოეთის" მარმარილოსებური კირქვის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 33 250 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯოყოეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 122 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1012.2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 261 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 27 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 25 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 25 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 25 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა |
| | | გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – |

| | | |
|---|---|---|
